ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 3 აპრილი, 2020 №79 (8343) ფასი: 60 თეთრი

ნინო ლომჯარია: „თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის გამოძიება უნდა განახლდეს“

გვ.5



გვ.5

ჯგუფურად განხორციელებულ ყაჩაღობაში ბრალდებულს 9 წლით პატიმრობა მიესაჯა

„მამა-შვილი 3.000 ლარით დააჯარიმეს, რადგან მათ შორის 2-მეტრიანი დისტანცია არ იყო“

გვ.4

არჩილ გამზარდია: „დიქტატურის ზღვარზე ვდგავართ“

ხატია დეკანოიძე: „ოცნების“ დეპუტატმა მკოლიანმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ქუჩაში თავისუფლად დადის“

გვ.2

„პოლიტპატიმრების თემა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, დიპკორპუსთან მუდმივად კონტაქტზე ვართ“

„ხალხი შიმშილის პირასაა, კალაძე კი ხან ნაგვის ურნებს ხსნის, ხან სკამებს უკვეთს“

ლევან ხაბეიშვილი: „შსს-ში 2 მილიონად ღირებული რემონტი მიმდინარეობს“

გვ.3

გვ.3

რომან გოცირიძე: „შიმშილისთვის განწირული ადამიანებისთვის ხელისუფლებისგან დახმარებაა საჭირო“

გიგლა ბარამიძე: „ოცნება“ სააკაშვილით ითქვამს სულს“

გვ.4



გვ.5

პოლიციამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 706 ფაქტი გამოავლინა

ISSN 1987-9385

2 ეროვნული ბანკის 7 თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა

2 ირაკლი კობახიძე: „იმედი გვაქვს, საპარლამენტო არჩევნებს 31 ოქტომბერს ჩავატარებთ“

5 გორში ცოლის ცემისთვის ჯ.ბ. დააკავეს

6 პუტინმა რეპრესიული ზომები გაამკაცრა

ხატია დეკანოიძე: „ოცნების“ დეპუტატმა მკოიანმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ქუჩაში თავისუფლად დადის“

„პოლიტპატიმრების თემა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, დიპკორპუსთან მუდმივად კონტაქტზე ვართ“

იაგო ნაცვლიშვილი

ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის ენზელ მკოიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის შეჩერებასა და მის დაკავებას მოითხოვს. საქმე ეხება 26 მარტს ახალქალაქში მომხდარ გარჩევას, რომელშიც ენზელ მკოიანი მონაწილეობდა. ამ გარჩევის გამო ხულიგნობის მუხლით დააკავეს პატრიოტთა ალიანსის წევრი სამველ პეტროსიანი და ასევე მკოიანის ძმისშვილი არმენ მკოიანი. ამ თემაზე ბრიფინგი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ გამართა.

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში **ხატია დეკანოიძე** უფრო დეტალურად ყვება იმის შესახებ, თუ რაში იკვეთება მკოიანის სისხლის სამართლის დანაშაული, რატომ არის ის ხელშეუხებელი ფიგურა და რა ხდება პოლიტპატიმრების თემაზე, რომელიც ბოლო პერიოდში ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე გაჩერდა.

– რა გააკეთა ენზელ მკოიანმა ისეთი, რაც მის სისხლის სამართლის დანაშაულს გამოკვეთს?

– როდესაც ქალაქში ხდება ცეცხლსასროლი იარაღით სროლა, რომელსაც ახორციელებს დეპუტატი ენზელ მკოიანი, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრია, ეს ნიშნავს, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, თან ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ დროს იქ ადამიანები დგანან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ენზელ მკოიანი გამოირჩეოდა ძალადობით. გახსოვთ, არჩევნების დროს ის შეიჭრა ჩვენს შტაბში და მან და მისმა ძმამ თავი გაუტეხეს ჩვენი შტაბის უფროსს. ეს არის ადამიანი, რომელიც განგსტერივით იქცევა.

საჯაროა ის მტკიცებულებები, რომლებიც 1 აპრილს გავიდა საინფორმაციო საშუალებებში. რას ნიშნავს ეს? ზუსტად იმას, რომ სისხლის სამართლის დანაშაულია ჩადენილი და, სამწუხაროდ, დამნაშავე ისევ ქუჩაში დადის. ეს არის მთელი ამ დანაშაულის ანატომია.

– ამბობთ, რომ ენზელ მკოიანი ხელშეუხებელია. რატომ?

– იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ საყრდენია რეგიონში, საარჩევნო პერიოდში ტერორისა და მთელი ამ კამპანიის გამტარებელია და მას საარჩევნოდ იყენებს ბიძინა ივანიშვილი. ამიტომ არის ხელშეუხებელი. როდესაც მან იძალადა ჩვენი შტაბის წევრებზე, მაშინ გიორგი გახარიამ თქვა, ჩვენი გუნდის გამორჩეული წევრიაო. ამ განცხადებაში, ფაქტობრივად, ყველაფერი ნათლად ჩანს, ამიტომ ნამდვილად არ გვიკვირს ეს ვითარება.

მაშინ, როდესაც ქვეყანა პანდემიას უნდა ებრძოდეს, ხელისუფლებასა და პარლამენტის წევრებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვთ, ადამიანების მიმართულებით კი ისვრის დეპუტატი, რაც სახელმწიფოს ჩამოშლაა.

– ანუ გამოდის, რომ ამ კრიტიკულ ვითარებაშიც „ოცნებას“ არჩევნებისკენ აქვს სწორება? ვგულისხმობ იმას, რომ არაერთი დასკვნის მიხედვით, არჩევნების გაყალბება იქნება თუ ხმების მობილიზება სხვა საშუალებებით, აქცენტი რეგიონებზე კეთდება, განსაკუთრებით კი – ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე. ეს გათვლა აქვს ხელისუფლებას?

– ფაქტია, რომ არჩევნებისთვის იყენებს ენზელ მკოიანს, მოძალადე ადამიანს, რომელსაც არანაირი უფლება არ აქვს, რომ იყოს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში. მაშინ, როდესაც ოპოზიციის წევრებს იჭერენ და ქვეყანაში გვყავს პოლიტიკური პატიმრები, მაშინ, როდესაც პარლამენტმა ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ნიკა მელიას დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნა და სამაჯური დაადო ხელზე, როდესაც მას პოლიტიკური სასამართლო მოუწყვეს და პარლამენტიდან გამოაძევეს, ამ დროს მათ ჰყავთ ასეთი მოძალადე ადამიანები თავიანტ რიგებში და ასეთი ადამიანები არიან ხელშეუხებლები.

– იმედი გაქვთ, რომ თქვენს ამ მოთხოვნასა თუ წინადადებას გაითვალისწინებენ და ენზელ მკოიანთან მიმართებით რამე რეაგირება ექნებათ?

– არ ვიცი. პროკურატურაში სარჩელს შევიტან. პროკურატურისგან მოვითხოვ სამართლებრივ რეაგირებას და ვნახოთ, რა რეაქცია მოჰყვება მისი მხრიდან. იმედი ნამდვილად არ მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ თავის წევრს დასჯის. ამ მძიმე სიტუაციაშიც კი საშინლად იქცევიან და სახელმწიფოს შლიან.

– თქვენი მოთხოვნა თუ არ იქნება გათვალისწინებული, თქვენი მხრიდან რა რეაგირება მოჰყვება ამ პროცესს?

– ჩვენი რეაგირება ეს არის, რომ საჯაროდ შეგვიძლია, ამ და სხვა ასეთი ფაქტების შესახებ საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია. ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი რეაგირება არის ის, რომ არჩევნების შემდეგ ეს ადამიანები აღარ დარჩებიან ხელისუფლებაში.

– საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც ხომ არ გქონიათ კომუნიკაცია და ხომ არ მიგიწოდებიათ ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია?

– ეს იგეგმება. ჩვენ ასევე ვაპირებთ კომუნიკაციას საქართველოს სახალხო დამცველთან და, რასაკვირველია, საელჩოებთანაც გვექნება კონტაქტი.

– ამ ფონზე, როდესაც ენზელ მკოიანი ხელშეუხებელია და ამ დროს არ ხდება დაპირების შესრულება პოლიტპატიმრების ნაწილში, რომელიც ამ კრიზისის საბაბით რატომღაც გაჩერებულია, რამდენად თანხვედრაშია ხელისუფლების ნაბიჯები?

– ზუსტად მაგას ვამბობ, რომ როდესაც ადამიანები ხელშეუხებლები არიან და ამ დროს ჩვენ გვყავს პოლიტიკური პატიმრები და დღესაც სასჯელს იხდიან, ეს არის მართლმსაჯულების ძალიან მძიმე სახე საქართველოში. ესეც ადასტურებს, რომ მთლიანად მართლმსაჯულება, სასამართლოსა და პროკურატურის ჩათვლით, მთლიანად ჩამოშლილია. ქუჩაში სროლა სახელმწიფოს ჩამოშლას ნიშნავს.

– ხომ აღარ გქონიათ საუბარი იმავე აშშ-თან, სხვა აქტორებთან პოლიტპატიმრების თემასთან დაკავშირებით?

– ეს თემა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ისინი მუდმივად არიან კონტაქტზე. ქვეყანას აქვს ურთულესი პერიოდი, პანდემიასთან დაკავშირებული ბრძოლაა, მაგრამ ჩვენ ვნახეთ აშშ-ის საელჩოს განცხადება რამდენიმე დღის წინ და ორივე პირობა, განსაკუთრებით კი პოლიტპატიმრების თემა და საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმება უნდა შესრულდეს.

– ანუ სხვადასხვა საშუალებით დიპლომატიურ კორპუსთან კომუნიკაცია გრძელდება?

– რა თქმა უნდა.

ეროვნული ბანკის 7 თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა

ეროვნული ბანკის განცხადებით, იზოლაციაში მყოფ 7 თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა.

„ერთი კვირის წინ ეროვნული ბანკის ერთ-ერთ თანამშრომელს დაუფიქსირდა კორონავირუსის დამახასიათებელი სიმპტომები. სიმპტომების გამოვლენისთანავე ეცნობათ შესაბამის სამსახურებს. ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყო კონკრეტული თანამშრომლისა და მასთან უშუალო შემხებლობაში მყოფ თანამშრომელთა თვითიზოლაციაში გადასვლა, ხოლო იმ სამუშაო გარემოს, სადაც მას უწევდა დღის განმავლობაში საქმიანობა, დეზინფექცია ჩაუტარდა.

ჩატარებული კვლევების შედეგად, ვირუსი დაუდასტურდა იზოლაციაში მყოფ 7 თანამშრომელს. ამჟამად ისინი გადაყვანილი არიან შესაბამის სტაციონარში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გადიან სამკურნალო პროცედურებს და მათი მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. ამჟამად მიმდინარეობს გაფართოებული ეპიდემიოლოგიური კვლევა ყველა შესაძლო კონტაქტების დადგენის მიზნით.

პირები, რომლებსაც დაუდასტურდა ვირუსი, ერთი სტრუქტურული დანაყოფის თანამშრომლები არიან. ისინი სრულიად დისტანცირებული იყვნენ და ბოლო ორი კვირის განმავლობაში მათ შემხებლობა არ ჰქონიათ ბანკის სხვა თანამშრომლებთან“, – აღნიშნულია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის თანამშრომელთა 90% დისტანციურად ასრულებს მოვალეობებს, ეროვნული ბანკის ყველა შენობაში მაინც მიმდინარეობს ინტენსიური სადეზინფექციო და დასუფთავების სამუშაოები.

„იმისათვის, რომ ქვეყნისათვის ამ ურთულეს პერიოდში გამართულად ფუნქციონირებდეს საფინანსო სექტორი, შეუფერხებლად მუშაობდეს კრიტიკული სისტემები და ფულის ნიშნებით უწყვეტად მარაგდებოდეს ეკონომიკა, ეროვნული ბანკის თანამშრომლებს, ისევე, როგორც სხვა არაერთი პროფესიის წარმომადგენლებს, ექსტრემალურ პირობებში უწევთ საკუთარი მოვალეობების შესრულება.

ეროვნული ბანკი აგრძელებს ქვეყნისათვის კრიტიკული სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. როგორც ადრე განვაცხადეთ, 16 მარტიდან ეროვნული ბანკი ლარის ბანკნოტებსა და მონეტებთან მიმართებით საკარანტინო ზომებს ახორციელებს. კერძოდ, მიმოქცევიდან შემოსული ლარის ფულის ნიშნები საკასო ცენტრში თავსდება, ინახება ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას მინიმუმ 14 დღის განმავლობაში და მათი გაცემა მხოლოდ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ხდება.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს. ერთობლივი ქმედებებით, პროფესიონალთა რეკომენდაციების დაცვით, სწრაფად შევძლებთ ვირუსის დამარცხებასა და საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში აღდგენას. #დარჩი შინ“, – ნათქვამია განცხადებაში.

არსებული ინფორმაციით, 7 თანამშრომელს, რომლებსაც კორონავირუსი დაუდასტურდათ, ფულთან ჰქონდა შეხება.

ტელეკომპანია „მაესტროს“ ინფორმაციით, ისინი ბანკში ფულს ითვლიდნენ.

ნიუპოსტის ცნობით, ერთ-ერთი მათგანი რუსთავის საკრებულოს წევრის დედაა. თავად საკრებულოს წევრსაც კოვიდ 19-ის სიმპტომები აღენიშნება, თუმცა ჯერჯერობით არ არის ცნობილი, აქვს თუ არა მას ინფექცია.

ამ დროისთვის რუსთავის საკრებულოს 20-მდე დეპუტატი, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარე, თვითიზოლაციაში იმყოფება.

უკვე მიმდინარეობს კონტაქტების კვლევა, ვისაც შეხება ჰქონდა იმ საჯარო მოხელესთან, რომლის მშობელსაც კოვიდინფექცია დაუდგინდა.

რუსთავის მერ ირაკლი ტაბაღუას განცხადებით, ამ ეტაპზე 45-მდე პირია იდენტიფიცირებული.

– ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მე პირადად მასთან კონტაქტი და შეხება არ მქონია. ჩვენ კონსულტაციების საფუძველზე გუშინვე, დაახლოებით 11-ის ნახევრიდან დავიწყეთ იდენტიფიცირება იმ ადამიანებისა, რომელთანაც მას კონტაქტი ჰქონდა, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, ამ დღეებზეა საუბარი.

იდენტიფიცირებული ადამიანები გაფრთხილებული არიან და იმყოფებიან თვითიზოლაციაში. ჩვენ ველოდებით ანალიზის პასუხს ამ პიროვნების, ვისზეც ახლა ყველა ვსაუბრობთ. დანარჩენი შიდა მონიტორინგი ახდენს მოკვლევას. დაახლოებით 40 ადამიანის იდენტიფიცირება მოხდა, დაემატა კიდევ 5 ადამიანი. ახლა ხდება შიდა მონიტორინგი არსებული კამერების საშუალებით, რაც ბუნიციპალიტეტის შენობაში დამონტაჟებულია, მიმდინარეობს შესწავლა, რომელ ადამიანებთან ჰქონდა კონტაქტი, – განაცხადა ირაკლი ტაბაღუამ.

არსებული ინფორმაციით, საკრებულოს წევრის დედა ეროვნული ბანკის თანამშრომელია, რომელსაც კიდევ ექვს თანამშრომელთან ერთად კოვიდ-19 დაუდგინდა.

ირაკლი კობახიძე: „იმედი გვაქვს, საპარლამენტო არჩევნებს 31 ოქტომბერს ჩავატარებთ“

– მოდით, ნუ ვისაუბრებთ თეორიულ ვერსიაზე, პრაქტიკულად, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩავატარებთ არჩევნებს სტანდარტულ დროს. ეს არის 31 ოქტომბერი.

ამის შესახებ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რითაც უპასუხა შეკითხვას, ხომ არ შეიძლება, არსებული მდგომარეობის გამო არჩევნების გადავადებას ველოდოთ.

როგორც ირაკლი კობახიძე აღნიშნავს, ეს მსოფლიოსა და საქართველოში არსებულ ვითარებაზე იქნება დამოკიდებული, თუმცა დასძენს, რომ რამდენჯერაც თეორიულ ვერსიებზე დაიწყეს საუბარი, ეს გამოყენებულ იქნა სპეკულაციისთვის.

კობახიძის თქმით, არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი, რომ ყველაფერი სათანადო დროში ჩაეტევა.

– ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ოპოზიციის წარმომადგენლებთან და შევჯერდით ყველაზე მჭიდრო ვადებზე, რა ვადებშიც არის შესაძლებელი კონსტიტუციური კანონის მიღება. ეს არის დაახლოებით 2-კვირიანი ვადა. როგორც კი ამოიწურება საგანგებო მდგომარეობა და, გვაქვს იმედი, რომ მალე დასრულდება ეს მოცემულობა, გვექნება იმის საშუალება, რომ ოპოზიციასთან ერთად კენჭი ვუყაროთ საკონსტიტუციო ცვლილებებს და ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სტანდარტულ ვადებში ჩავატაროთ საპარლამენტო არჩევნები.

ეს ყველაფერი, მთლიანობაში, არ არის მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება პანდემიასთან დაკავშირებული ტენდენციები მსოფლიოს მასშტაბით და, შესაბამისად, საქართველოში, თუმცა არის ოპტიმიზმის საფუძველი, რომ ყველაფერი სათანადო დროში ჩაეტევა.

შესაბამისად, ჩვენ შევძლებთ საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებას ზაფხულისთვის და უფრო ადრეც, იმედია და შევძლებთ 31 ოქტომბერს, როგორც გათვალისწინებულია კონსტიტუციით, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხალხი შიმშილის პირასაა, კალაძე კი ხან ნაგვის ურნებს ხსნის, ხან სკამებს უკვეთს“

ლევან ხაბეიშვილი: „შსს-ში 2 მილიონად ღირებული რემონტი მიმდინარეობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

– ლევან, რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად ისმის კრიტიკა ხელისუფლების მისამართით. რას ვერ ან არ აკეთებს სწორად ხელისუფლება?

– მთელი მსოფლიო, მათ შორის ჩვენი ქვეყანაც პანდემიას ებრძვის. მინდა, რომ ყველა ადამიანს ჯანმრთელობა ვუსურვო. ოპოზიციას ერთგვარი მორატორიუმი გვქონდა გამოცხადებული, გვერდზე გადავდეთ დროებით პოლიტიკა, პარტიულობა. ხელისუფლებას შევთავაზეთ, რომ ამ პრობლემას ერთად მოვერიოთ, თუმცა, სამწუხარო რეალობაა, რომ ამ პირობებშიც კი, როცა მთელი მსოფლიო გაერთიანებულია, „ქართულ ოცნებას“ შეუძლია, ქვეყანა დაყოს ნაციონალებად და „ოცნების“ მომხრეებად და ჩვენს ინიციატივაზე თქვას, რომ ეს არის პროვოკაცია.

კი ბატონო, ძალიან კარგია, რომ ამ დროისთვის 130-ზე მეტი დაინფიცირებული არა გვყავს. ეს ჩვენი ექიმების დამსახურებაა, გმირობის ტოლფასია, მაგრამ ერთი რამეც გაითვალისწინეთ. როცა, ჯამში, 500 კაცს აქვს ტესტი გაკეთებული და იქიდან ამდენია დაინფიცირებული, ეს არ ნიშნავს, რომ კარგ მდგომარეობაში ვართ.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს ნიშნავს იმას, რომ ტესტები არ გვაქვს, რაც უზრუნველყოფს სხვა ადამიანების გატესტვას.

– ანუ, შესაძლოა, გაცილებით მეტია და ეს არ ვიცით?

– რა თქმა უნდა. ევროპაშიც, ამერიკაშიც მზარდი იყო მარტივი რამის გამო, სწრაფმა ტესტებმა უფრო სწრაფად გამოავლინა დაინფიცირებული ადამიანები. ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ტესტი უკეთდება პირობითად დღეში 20 ადამიანს და აქედან 10-ს აქვს ვირუსი. ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ კარგ სიტუაციაში ვართ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ და ამისთვის ყველანი მზად უნდა ვიყოთ. სწორედ ამიტომ ვთავაზობდით ხელისუფლებას, რომ ერთად გვემოქმედა.

– ოპოზიცია ჩასაფრებულის პოზიციიდან საუბრობსო.

– აქ არაფერ შუაში არ არის ჩასაფრებულის პოზიცია. რჩევა ჩვენც უნდა მივცეთ ხელისუფლებას. ის, რომ ახლა 2 მილიონი ლარი იხარჯება რემონტში, ნორმალურია?!

– რის რემონტში?

– აი, ახლა, ამწუთასაც 2 მილიონი ლარის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს შს სამინისტროში, რომელიც აქამდეც 5-ჯერ გარემონტდა. არა მგონია, ეს ნორმალური და ადეკვატური იყოს. დღეს ამის დრო არ არის, ეს მილიონები უნდა მოხმარდეს სხვა რამეს.

ვაუჩერებთან დაკავშირებითაც გეტყვით, კი ბატონო, ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, რატომაც არა, მაგრამ, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს თანხა, რომელსაც ბიუჯეტი გამოყოფს, არის ხალხის, ჩემიც, თქვენიც და ყველასი. ეს ფული ჩვენი გადახდილი თანხებია, ჩვენია! ეს არ არის ბიძინა ივანიშვილის ბუნკერში დამალული ფული, რომელიც ამ დრომდე არ გამოჩენილა და არ დაუფიქსირებია პოზიცია. ასეთი კრიზისია ქვეყანაში, გამოვიდა, ერთი განცხადება მაინც გააკეთა?!

– გამუდმებით ისმის კითხვა, სად არის ის, რატომ არ ჩანს ივანიშვილი. სად არის?

– ბიძინა ივანიშვილი სად არის და ბუნკერშია! მე მგონი, საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი არ ეკონტაქტება. ეს კაცი გაწირავს ყველასა და ყველაფერს, ფეხებზე ჰკიდია საკუთარი ჯანმრთელობის გარდა ყველა და ყველაფერი. მთავრობაც ფეხებზე ჰკიდია.

მართლა უნდა მთავრობას, რომ კრიზისი დაძლიოს და ქვეყანას საფრთხე აარიდოს, ამის დაუნახაობა არ შეიძლება, მაგრამ ბიძინას ეს ხალხიც ფეხებზე ჰკიდია.

– ანუ საერთოდ ჩამოშორდა პროცესებს და არავის ეკონტაქტება?

– დიახ, ასეა. ბუნკერშია ბიძინა ივანიშვილი დამალული. ყველაზე კარგად ვინც ასრულებს „დარჩი სახლში“ წესებს, არის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ბოქსირებულ ბუნკერშია გამოკეტილი და ახლოს არ იკარებს ოჯახის წევრებსაც კი, რომ რამე დაავადება არ შეხვდეს.

– ანუ პროცესებს ჩამოშორდა და ქვეყნის მართვა მთლიანად გახარიას გადააბარა?

– კი, ასეა, თუმცა გახარიას დამოკიდებულებაც არასწორია ბევრ საკითხთან მიმართებით. თუ უნდათ, ჩამოიყვანონ უცხოეთიდან ჩვენი მოქალაქეებიო. ჩვენ ვთქვით, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ჩამოვიყვანთ 5 ათას ემიგრანტს აბსოლუტურად უსასყიდლოდ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ავწიეთ თვითმფრინავი და ამდენი ხალხი დაუკითხავად წამოვიყვანეთ საქართველოში. ამ დროს რას იტყვიან გახარია და „ოცნება“? იტყვიან, რომ ეს არის მიზანმიმართული პროვოკაცია, რომ ეს არის დესტრუქციული ქმედება, რომ საქართველოს მოქალაქეებს საფრთხეში აგდებენ და ასე შემდეგ.

– ჩვენ თავად ჩამოვიყვანთო. მიშას ჩამოყვანილი არ უნდათ.

– დღეს მოწონება-არმოწონებაზე ხომ არ არის საქმე? არც მე მომწონს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ, ის თუ საკუთარი სახსრებით ჩამოიყვანს ამდენ ემიგრანტს, ამას მივესალმები. ამბობს სააკაშვილი, რომ მთავრობასთან თანამშრომლობით, მათთან კოორდინაციით ერთად გავაკეთოთ ეს საქმე.

3.077 ადამიანი შეეხმიანა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ჩვენ ამ ადამიანების კონტაქტები გადავეცით მთავრობას.

– ვისაც სამშობლოში დაბრუნება სურს?

– დიახ, ოღონდ, ეს ის ხალხია, ჩვენ ვინც მოგვმართა, თორემ საელჩოებს რამდენმა ადამიანმა მიმართა, ეს კიდევ სხვა არის. ამ ხალხს ხომ ვერ გავწირავთ, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან. მათ შორის არის ძალიან ბევრი სტუდენტი, რომლებიც სასწავლებლად იყვნენ წასული, საერთო საცხოვრებლებიდან გამოყარეს, საჭმლის ფული და თავშესაფარი არა აქვთ. რას ვეუბნებით მათი ოჯახის წევრებს, რომ ფეხებზე გვკიდია ეს ხალხი და ჩარჩნენ იქ, სადაც არიან?!

– მთავრობა ამბობს, დანიშნულია რეისები და ჩვენ ჩამოვიყვანთ ყველასო.

– კი ბატონო, ჩამოიყვანონ, თუმცა ეს სერიოზული პრობლემაა. ხომ ვნახეთ, იმავე პოლონეთთან დაკავშირებით რაც ხდებოდა და მეორეც, მთავრობა რომ ამბობს, მე ჩამოვიყვანო, რატომ უნდა დახარჯოს ფული, როცა მიშა სააკაშვილი ამბობს, მოვიძიე ბიზნესმენები და მიფინანსებენო.

რატომ არ უნდა მიიღონ დახმარება სხვისგან?! ასეთი პატარა კაცობა როგორ შეიძლება! პოლიტიკა და პარტია წყალსაც წაუღია, თუ ერთმანეთზე არ ვიზრუნეთ და არ ვიფიქრეთ.

– ამ სიტუაციაში თბილისის მერია რამდენად სწორად და გამართულად მუშაობს?

– კალაძე საერთოდ ცალკე აღნიშვნის ღირსია თავისი არაადეკვატური დამოკიდებულებებით.

– რატომ, რას ერჩით?

– შუა საგანგებო სიტუაცია იყო გამოცხადებული, კამპანია „დარჩი სახლში“ დაწყებული, ადამიანებს უმძიმესი მდგომარეობა აქვთ და ამ დროს კალაძე წავიდა და ვაკეში პრეზენტაცია მოაწყო, 31 ათას ლარიანი ნაგვის ურნები გახსნა! პრეზენტაცია გააკეთა, ფეისბუქზე ფოტოები ატვირთა. სიგიჟეა, აბა, რა არის, ეს გააკეთო 26 მარტს, როცა საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

რა დროს 31 ათას ლარიანი ურნებია! ჩუმად მაინც იყოს და ხალხს ნუ გააგიჟებს, რომ ასეთ სიტუაციაში 31 ათასი ლარი ნაგვის ურნაში გადაიხადა, ასევე, 20 მარტს ტენდერი გამოაცხადა.

– რის ტენდერი?

– 8 ათას ლარიან სკამებს ყიდულობს. რა სიგიჟეა 8 ათას

ლარიანი სკამი?! საქართველოში დამზადებული სკამი ათჯერ უფრო იაფია. დაახლოებით 700-800 ლარი ჯდება საშუალოდ ერთი სკამი, რომელიც სხვადასხვა სკვერშია. კალაძემ კი, ჭავჭავაძეზე, ვაკეში, 8 ათას ლარიანი სკამი უნდა დავდგაო. თავიდან 12 ათას ლარიანი იტალიური სკამების ჩამოტანა უნდოდა და ეს ჩავუგდეთ. ახლა გადაწყვიტა, 12 ათასიანი – არა, მაგრამ 8 ათასიანი უნდა ვიყიდოთო. ამაში მილიონ 300 ათასი ლარი დაიხარჯება. ეს ადეკვატური ქმედებაა ამ დროს, როცა მთელი მსოფლიო პანდემიას ებრძვის?!

სწორედ ამიტომ მგონია, რომ ეს კაცი ცოტა ვერ არის. აბა, სხვა რა ვიფიქრო, ასეთ დროს რომ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებ და მერე გამოდიხარ და გვიცხადებ, სახლში დარჩით და ლაივკონცერტი იქნება ფეისბუქზეო.

– კონცერტების წინააღმდეგი ხართ?

– ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩვენს მომღერლებსა და ყველას, ვინც იქ მღერის, მაგრამ, შენ რომ მერი ხარ, იმაში უნდა ხარჯავდე ფულს, რომ ლაივკონცერტი იყოს?! ადამიანებს პირველადი მოხმარების საგნების პრობლემა აქვთ! თუმცა ვერ ხვდება ამას, ვერაფერი გაუგია, თვითონ მილიონერია, არანაირი პრობლემა არა აქვს, 2 თვე იქნება თუ 3 თვე, სახლშიც დარჩება და არაფერი არ მოაკლდება, მაგრამ, იმ ხალხმა რა ქნას, ვინც უმუშევარი დარჩა?!

– დიახ, უამრავი ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე.

– ჩემი მეგობარია, რომელიც ოქროს ბირჟაზე მუშაობდა, ინტერნეტითაც ყიდდა ყოველდღიურად ოქროს ნივთებს. დღეს ვის რად უნდა შენი ოქრო. მეუღლე ჰყავს, შვილი და დედა. დღეს მისი შესანახია ყველა. ამ კაცს ყოველდღიურად შეჰქონდა სახლში 60-70 ლარი. 4 კვირაა უკვე, გაჩერებულია, რა ქნას, რა აჭამოს ოჯახს?! ვინ აჭმევს ამ ხალხს?!

ჩვენი ინიციატივაა, 1.000 ლარი ყველა ოჯახს. საიდან მოვიტანოთ ფულიო. უკაცრავად, მაგრამ მარტო ნახევარ მილიარდზე მეტი დევს საპენსიო ფონდში, რომელიც მოჰპარეს ქართველ ხალხს! ამაზე მეტად ამ ხალხს არ გაუჭირდება და ამ ფულის გაქრობას ისედაც აპირებენ ჩხარტიშვილი და ივანიშვილი. გამოიტანონ ის ფული და მოახმარონ ამ ხალხს!

ხალხი შიმშილის პირას არის და ეს ჩვენი მერი ხან ნაგვის ურნებს ხსნის, ხან სკამებს უკვეთს, კონცერტს უყურეთო. მშიერ ხალხს ეს უშველის?! მერე წითელი ჯვარი რაღაცას გამოყოფს, მივარდება იქ და ფოტოებით პიარობს, აი, ნახეთ, პროდუქტი დავარიგეთო. მომწერეს წითელი ჯვრიდან, ჩვენ ვშრომობთ, ვწვალობთ, მოდის კალაძე, მერიის პარკებში ალაგებს და პიარს იკეთებსო.

კაპიკი არ გაუღია ჯერ მერიას, კაპიკი!

რომან გოცირიძე: „შიმშილისთვის განწირული ადამიანებისთვის ხელისუფლებისგან დახმარებაა საჭირო“

კარანტინის პირობებში თითქმის ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა იკრძალება. მთავრობამ თამაშის სამართლიანი წესები უნდა დააწესოს

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრის მიერ გახმოვანებულ სოციალურ პროგრამაზე საუბრობს.

– ბატონო რომან, მთავრობის მიერ სოციალური მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს როგორ აფასებთ? რა შენიშვნები გაქვთ?

– იქმნება ილუზია, თითქოს მთავრობა ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხებით აპირებს ბიზნესისა და მოქალაქეების მხარდაჭერას 2 მილიარდი ლარის ოდენობით. როგორც შემდეგ მინისტრების განმარტებებიდან შევიტყვეთ, თურმე ამის დიდი ნაწილი, 1, 2 მილიარდი ლარი, ტურიზმის მხარდასაჭერი ღონისძიებების ნუსხა ყოფილა, რაც ბიუჯეტთან პირდაპირ კავშირში არც არის, მაგალითად, დღგ-ს სწრაფი დაბრუნება 600 მილიონის ფარგლებში. ზედმეტად გადახდილი დღგ ისედაც კომპანიებისაა და მაინც დასაბრუნებელია. ბანკების მიერ სესხების გადავადებაც ამ პაკეტს მიაწერეს.

სიახლე ის არის, რომ კომუნალური გადასახადების დაფარვა მართლაც მოხდება ბიუჯეტიდან. ალბათ ეს დაახლოებით 150 მილიონი ლარი დაუჯდება ბიუჯეტს. თუმცა აქაც არ ასახელებენ ზუსტ თანხას, მაშინ როდესაც გაზისა და დენის აბონენტების რაოდენობას აცხადებენ.

ახლა აუცილებელია სახლში ჩაკეტილი, უმუშევრად დარჩენილი ადამიანების გადარჩენის პროგრამის შექმნა. შიმშილისთვის განწირული

ადამიანებისთვის დახმარებაა საჭირო. ყველაზე მარტივი გზაა კომუნალური ვაუჩერების დარიგება. დენის მოხმარება ადამიანის შემოსავლის დონეს განსაზღვრავს. თუ 100 კილოვატ საათს მოიხმარ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გაქვს ერთი ტელევიზორი, ერთი მაცივარი და ორი ნათურა. ამდენად, ძალიან მარტივად ხდება სოციალური გრადაცია ელექტროენერგიის მოხმარებით. ამიტომ იყო ჩვენი ინიციატივა ამ მიმართულებით, რომ ძალიან სწრაფად მომხდარიყო ადამიანებისთვის ამ მიმართულებით დახმარების გაწევა. მთავრობა იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა.

ჩვენ მთავრობას ასევე ვთავაზობდით პენსიონერებისთვის მედიკამენტების მხარდაჭერის პაკეტს, რადგან ლარის გაუფასურების ფონზე ამ ადამიანებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წამლების შეძენა კიდევ უფრო გაუჭირდებათ.

ასევე, პრემიერი ამბობს, რომ წელს შეიძლება სასწავლო პროცესი ჩაიშალოს და მიმდინარე წელი აკადემიურ წლად არ ჩაითვალოს. რატომ? როდესაც შეიძლება, ინტერნეტპაკეტები დაურიგდეთ. სხვათა შორის, ჩვენს მეზობელ სომხეთში უკვე ყველა სოფელშია ინტერნეტი. სოფლის ინტერნეტიზაციის პროგრამა უკვე დამთავრებული უნდა იყოს.

– ორი მილიარდი ლარი შეიძლება მართლაც ამ მიმართულებით იყოს მობილიზებული?

– რეალურ სურათს მხოლოდ ბიუჯეტის ცვლილებისას გავიგებთ და აღმოჩნდება, რომ ორი მილიარდი ლარი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური და შეკოწიწებული სიდიდეა, მხოლოდ მოსახლეობის გულის მოსაგებად გამოცხადებული მოკლევადიანი სასიამოვნო პიარმაჩვენებელი. ბიუჯეტი ყველაფერს მოჰფენს ნათელს, რა კატეგორიის ადამიანებისთვის აპირებს დახმარების გაწევას, რა დახმარებას და ა.შ.

– პარლამენტში ბიუჯეტი როდის შემოდის?

– ველოდებით, მაგრამ მთავრობა ცოცხალი თავით არ ამხელს ბიუჯეტს. ბიუჯეტს აქვს ორი მხარე: ერთი, შემოსავლები. მეორე, ხარჯები. შემოსავლები გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ხარჯები. ამ სხვაობას კი დეფიციტი ჰქვია. რომელი წყაროდან აპირებს ამ დეფიციტის დაბალანსებას? ორი წყარო არსებობს: ერთი, საშინაო ვალი, მეორე, საგარეო ვალი. საგარეო ვალი ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხმარდება და მას ხელს ვერ ვახლებთ. საინტერესოა, იქნება თუ არა დამატებითი რესურსები, მათ შორის გრანტი. როდესაც შეიკვრება ბიუჯეტი, მაშინვე დავინახავთ მთავრობის გეგმას.

ეკონომიკური კოლაფსის პირობებში, როდესაც ადამიანებმა სამუშაო დაკარგეს, როდესაც ლარი გაუფასურდა, როდესაც ვკარგავთ შემოსავლებს ემიგრანტების გადმორიცხვების სახით, ბუნებრივია, ამ დანაკლისის კომპენსირება წარმოუდგენელი იქნება.

კარანტინის პირობებში თითქმის ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა იკრძალება. პრივილეგიები და ნებართვები პოლიტიკური ნიშნით უკვე სახეზეა. ასეთი გამონაკლისების დაშვება მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა აკრძალოს და თამაშის სამართლიანი წესები უნდა დააწესოს.

– რა უნდა გაკეთდეს, რომ ეკონომიკურ კოლაფსს გადავურჩეთ?

– ერთი მხრივ, საჭირო იქნება საერთაშორისო დახმარების მოძიება და, მეორე მხრივ – ბიუჯეტის ტოტალური ეკონომია.

გიგლა ბარამიძე: „ოცნება“ სააკაშვილით ითქვამს სულს“

კორონავირუსის პანდემიას გადავიტანთ, მაგრამ უნდა ვემზადოთ პოსტკორონარული ცვლილებებისათვის. მოსალოდნელია ახალი წესრიგის შექმნა, ფასეულობების გადაფასება, სხვა სტრუქტურების ფორმირება

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა სახის გამოწვევებზე, ასევე გლობალურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივან **გიგლა ბარამიძეს.**

– მთავრობამ უკვე გამოყო კომუნალური სუბსიდიები მოსახლეობის ნაწილისათვის. მანამდე ოპოზიციის ნაწილი აცხადებდა, რომ ხელისუფლება კორონავირუსისგან შექმნილი სიტუაციით დაზარალებულებს ვერაფრით დაეხმარება.

– ზოგი ამასაც ამბობდა, ზოგი კი აცხადებდა, უცხოეთიდან ჩვენს თანამემამულეებს ჩამოვიყვანო. მე ჩემი პარტიის პოზიციაზე შემიძლია მოგახსენოთ. სანამ ვირუსი საქართველოში დადასტურდებოდა, ჩვენი წინადადებები მაშინ წარმოვადგინეთ. ამაზე პარტიის თავმჯდომარემაც გამართა ბრიფინგი და მეც. პირველ რიგში, ვირუსთან ბრძოლის პერიოდში უარი ვთქვით ოპოზიციონერულ საქმიანობაზე და გადავედით ხელისუფლებასთან დროებით თანამშრომლობაზე.

– კომუნალურ სუბსიდიებს იწონებთ?

– მაშინდელი ჩვენი გეგმით, უნდა მომხდარიყო კომუნალური გადასახადების განულება 2 თვის განმავლობაში. ხელისუფლება გვთავაზობს ზღვარს. თუ 200 კილოვატი კი არა, 220 დავხარჯე, შეღავათი არ მეკუთვნის. ჩვენი წინადადებები ითვალისწინებდა არასაბიუჯეტო ორგანიზაციების (მცირე და საშუალო ბიზნესის) წარმომადგენლებისთვის ერთი ან ორი თვის ხელფასების გადახდას. საუბარია იმათზე, ვინც უმუშევარი დარჩა, ასევე შეღავათებს საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადებზე, პროცენტების დროებით განულებას სტუდენტებისა და პენსიონერების კრედიტებზე. აუცილებლად მიგვაჩნია ფასების კონტროლი.

– ხელისუფლებამ 9 პროდუქტი დააზღვია და ითქვა, რომ ისინი არ გაძვირდება.

– ფაქტია, რომ პროდუქტები მაინც გაძვირდა. ეგ კი არა, შავ პირბადეებს ქუჩა-ქუჩა დაატარებენ და 5 ლარად ყიდიან, აფთიაქებში კი არც პირბადეების სახსენებელია და არც ანტისეპტიკური საშუალებებისა. წამლების ფასები კი უფრო ავარდა. პარლამენტში რომ სხედან მაჟორიტარებად მეაფთიაქეები, კეთილი ინებონ და მათ პასუხი მოსთხოვონ! გასაკონტროლებელი არიან კერძო გადამზიდავებიც. ტაქსები ახალ ტარიფებს იგონებენ.

– გასწვდება ბიუჯეტი შეღავათებს?

– უნდა გასწვდეს. ჩვენს გეგმაში მითითებულია წყაროები. ესენია: დონორი საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყნები (მათთან მუშაობა უნდა გაძლიერდეს), ასევე საბიუჯეტო მუხლების გადანაცვლება. სამივლინებო ხარჯები საერთოდ გამოთავისუფლდა. არსებობს კიდევ საპენსიო (დაგროვებითი) ფონდი და თანაინვესტირების ფონდი. ქვეყანაში უამრავი სსიპი და აიპია. მისი თანამშრომლები ხშირ შემთხვევაში საქმეს არ აკეთებენ. მათ ხელფასები უნდა გაუნახევრდეთ ან სამჯერ შეუმცირდეთ.

– ამ ეპიდემიოლოგიური გამოწვევის დროს დღის წესრიგში ისევ საკაშვილი დგას. ბოლო დღეებში მას ხშირად ახსენებენ. მაგალითად, დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ ნუკრი ქანთარია აცხადებს, რომ უსამშობლო, მაწანწალა არსება, საკაშვილი, მსოფლიო გასაჭირის დროს მავნებლობს. საკაშვილის მომხრეების აზრით კი საკაშვილი აღმშენებელია.

– საკაშვილი პოლიტიკურ დღის წესრიგში მოაქცია „ქართულმა ოცნებამ“. „ოცნება“ საკაშვილით ითქვამს სულს. სულ არ იქნებოდა საკაშვილი ყურადღების ცენტრში, რომ არა კოაბიტაცია, რომელიც ამ ხელისუფლებამ 2013 წელს გამოაცხადა. პარლამენტში „ოცნებას“ ნაცმოძრაობის წევრები გვერდით უსხედან. ამიტომ მათი წუხილი საკაშვილსა და ნაცმოძრაობაზე თვალთმაქცობაა. ამ ხალხის ბრალია, რომ ინტერპოლის მიერ ძებნილი საკაშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ ნავარდობს.

– ამ სიტუაციაში, ვისაც არ ეზარება, ყველა ეკლესიაზე ლაპარაკობს.

– ეს, მართლაც, დიდი პრობლემაა. ზოგიერთს რომ უსმინო, აღდგომა უნდა გადავდოთ. ეპიდემიასთან ბრძოლა საჭიროა. დისტანციის დაცვა ეკლესიაშიც შეიძლება (ეს ნორმა დაცულია), მაგრამ ქრისტიანულ საიდუმლოებებში ათეისტები და წარმართები არ უნდა ერეოდნენ.

– ეს ხდება?

– რასაკვირველია! თეოლოგებად გვაცნობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც, უბრალოდ, ეკლესიის საკითხებს განიხილავენ. ისინი არანაირი თეოლოგები არ არიან. რომელი სასულიერო პირი და თეოლოგი იტყვის, ზიარების წესი უნდა შეიცვალოსო. წარმართები და დატრენინგებული ეკლესიასთან მებრძოლები ერევიან მართლმადიდებლურ მრწამსში. მათი ლოგიკით, ბავშვი წყალში არ უნდა მოინათლოს, იმიტომ, რომ გაცივდება. 20 საუკუნეა, ზიარება ტარდება ერთი კოვზიდან. პური და ღვინო იქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად. ესენი კი თავიანთ წესებს სთავაზობენ ეკლესიას!

– მოძღვრებიც ამას ამბობენ.

– ამბობენ, მაგრამ სასულიერო პირებმა უფრო კარგად უნდა განმარტონ ზიარების არსი, რაზეც დაფუძნებულია მართლმადიდებლური მადლი. სახლში ილოცეთ, ეკლესიაში ნუ ივლით, ეკლესიები უნდა დაიკეტოსო. მორწმუნეები შინ ისედაც ლოცულობენ, ეკლესიები კი ღვთის სახლია და წირვა-ლოცვაზე იქ დადიან. ჩემი დისერტაციის ორი მესამედი თეოლოგიურ საკითხებს, უფლის კვართს ეძღვნება და იმიტომ ვაძლევ თავს ამაზე ლაპარაკის უფლებას. იყვნენ წმინდანები, რომლებიც 40 წელიწადი ლოცულობდნენ უდაბნოში. მარიამ მეგვიპტელი მეძავობის ცოდვებს ინანიებდა. ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ტაძრები უნდა დაიკეტოს და ყველამ სხვაგან ილოცოს. კორონავირუსი მალე გადაივლის. დასკვნების გამოტანა კი უკვე შეიძლება.

– რა დაასკვენით?

– მძლავრი სახელმწიფოები, ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები უძლურნი აღმოჩნდნენ კორონავირუსის წინაშე. ფორმალურად ისინი რაღაც თანხებს გამოყოფენ, სხვადასხვა მიმართულებით რიცხავენ, მაგრამ ეს ხომ ვირუსის დამარცხება არ არის. სად არის ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი, ნატო და ა.შ? ისინიც შედრკნენ. გრანდიოზული ცვლილებები გარდაუვალია.

– რა ცვლილებებზე საუბრობთ?

– კორონავირუსის პანდემიას გადავიტანთ, მაგრამ უნდა ვემზადოთ პოსტკორონარული ცვლილებებისათვის. ეს იქნება დიდი გამოწვევა მსოფლიოში. მსოფლიოში მოსალოდნელია ახალი წესრიგის შექმნა, ფასეულობების გადაფასება, სხვა სტრუქტურების ფორმირება.

– ამ ინფექციამ ყველაფერი გადაასხვაფერა?

– საქმე ის არის, რომ ამ ინფექციის უკან მასშტაბური ინტერესები და საერთაშორისო ძალა დგას. ეს არ არის მხოლოდ ჯანდაცვისა და ეკონომიკის გამოწვევა. პოსტკრიზისული პერიოდისთვის საქართველოც უნდა მოემზადოს.

– თქვენ კონკრეტულად არაფერს ამბობთ.

– დიახ. დაკონკრეტებას ვერიდები. ახლა ვამბობ, რომ ქართველები კორონას გადატანის შემდეგაც ფიზიზლად უნდა იყვნენ. ამაზე სხვა ინტერვიუებშიც ვისაუბრებ.

„მამა-შვილი 3.000 ლარით დააჯარიმეს, რადგან მათ შორის 2-მეტრიანი დისტანცია არ იყო“

არჩილ გამზარდია: „დიქტატურის ზღვარზე ვდგავართ“

ნონა ცაბაძე

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ფიქრობს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა დიქტატურის ზღვარზე დგას, ხელისუფლება უსაზღვრო ძალაუფლებას ფლობს და ამას არაკეთილსინდისიერად იყენებს. **არჩილ გამზარდია** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– არჩილ, რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება, შესაძლოა, ერთპიროვნულ და დიქტატორ მმართველად ჩამოყალიბდეს?

– როდესაც ცხადდება საგანგებო მდგომარეობა და კარანტინი, ამ ყველაფერს აქვს თავისი მკაცრი ზომები, თუმცა ძალაუფლების შერგების მომენტი აქვს ძალიან მძიმედ გამოხატული. არ ცდილობენ, რომ საკითხებს ინდივიდუალურად მიუდგნენ. ეფექტური მართვა ჰქვია ისეთ მართვას, რომლის დროსაც პროცესებში ხელისუფლება უსამართლოდ არ ჩაგრავს და არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს არ იღებს.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, თუ შეკრებები აკრძალულია, ეს აკრძალვა უნდა იყოს საყოველთაო, ნებისმიერ სივრცეში! მეორე, თუკი ადამიანები ერთ ოჯახში ცხოვრობენ და ამის კონტროლის მექანიზმები მარტივია, არ არის სწორი, რომ ავტომობილში ცოლქმარი ერთად არ დაჯდეს, ერთი ბავშვი დაისვას და დანარჩენები სახლში დატოვოს.

– ამან სერიოზული პრობლემები შექმნა?

– შექმნა, აბა, რას იზამდა. არის ოჯახები, რომლებსაც რაღაცა იძულებები აქვთ. ასე ხელაღებით ნუ იტყვით, რომ უნდა დარჩნენ სახლში. არის ოჯახები, რომლებსაც აუცილებლად ესაჭიროებათ გადაადგილება. ამის მართვაც ძალიან მარტივი იყო, თუნდაც ქორწინების მოწმობა, თუნდაც ბავშვის დაბადების მოწმობით. თითქმის ყველგან აჩერებენ მანქანებს და, ხომ შეიძლებოდა ამ საბუთების მიღებაც და ძალიან დიდი პრობლემების არიდება ოჯახებისათვის! იძულების გარეშე არავინ გადის ბავშვით გარეთ.

იგივე განათლების სფერო რომ ავიღოთ, ასე თუ ისე, სისტემამ გაართვა თავი ამ პროცესს, წინ მიიწევს და ხელისუფლება მაინც ამბობს, რომ აკადემიურ წლად გამოცხადებას განიხილავს, რაც არასწორია. რაღაც პროცესები მაინც გრძელდება, ვითარდება და სახელმწიფომ ამას ხელი არ უნდა შეუშალოს. ხელისუფლებამ დღეს მოირგო ეს პოზა, რომ ტოტალიტარულად მართავს პროცესებს, ყველა სივრცეში იჭრება.

– ამით რის თქმა გინდათ?

– ერთპიროვნულად იღებენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ძალიან მკაცრი ძალაუფლების რეჟიმში, არავის აზრს აღარ დაგიდევენ. როდესაც საზოგადოების ყურადღება გადართულია ამ პრობლემებზე, რომლებსაც ეს ვირუსი ქმნის, მთელი რიგი თემები მიდის და არანაირი საზოგადოებრივი კონტროლი არ არსებობს.

იგივე გაზრდილი ფასები, ლარის კურსი, რომელიც ძალიან მძიმე პირობებს ქმნის, თუნდაც ეს ფრაგმენტულად გადმოგდებული სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომელიც მათი კონსტიტუციური ვალდებულებაა. როდესაც ადამიანს მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს, ხელისუფლებამ უნდა მართოს ის პრობლემები, რომლებიც ამ შეზღუდვის შედეგად გვექმნება.

ეს კრიტერიუმებიც სრულიად გაუგებარია, რომლებიც კომუნალურ გადასახადებზე შემოგვთავაზეს. მრავალსულიანმა ოჯახებმა რა ქნან?! იმას, რასაც ბევრი ოჯახი ორი და სამი თვის წინ უპრობლემოდ იხდიდა, ახლა ვეღარ გადაიხდის, იმიტომ, რომ სამსახურები დაკარგეს!

დღეს ეს შეღავათი მასობრივად სჭირდება საზოგადოებას. როცა ამიკრძალე ყველაფერი, ვალდებულება შენ, ხელისუფლებას დაგრჩა, რომ მეტ-ნაკლებად შემივსო ეს ზარალი. ეს აუცილებლად არის გასაკეთებელი.

– ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს არ აკეთებს თუ ვერ აკეთებს?

– არ აკეთებს და რაღაც მომენტში, შეიძლება, ვერც აკეთებს. არ აკეთებს იმიტომ, რომ ნება არ ჩანს. მამა-შვილი 3 ათასი ლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ მათ შორის არ იყო 2-მეტრიანი დისტანცია. 4 წლის მცირეწლოვანი შვილის დამტოვებელი რომ არავინ მყავს, პურის საყიდლად რომ მივდივარ ბავშვით, როგორ გავაგებინო 4 წლის ბავშვს, რომ 2– მეტრიანი დისტანცია დაიცვას?! ამის გამო უნდა დამაჯარიმონ?!

ასეთი მკაცრი ზომები, შესაძლოა, ყოფილიყო პირველ 2-3 დღეში, როდესაც გადაწყვეტილება მიიღეს. კი, უცბად გააჩერეს პროცესი, მაგრამ მერე ხომ უნდა დაწყებულიყო აქტიური მუშაობა, რომ ადამიანებს ნომინალური უფლებების ნაწილი მაინც შერჩენოდათ. როდესაც დღეები გადის და ხელისუფლება ამას არ ცდილობს, ეს უკვე აჩვენებს, რომ განა არ შეუძლიათ, არამედ, საჭიროდ არ მიიჩნევენ.

– ანუ სრულიად უუფლებოდ დაგვტოვეს და, როგორც აწყობთ, ისე მართავენ პროცესებს?

– დიახ, სრულიად უუფლებოები ვართ ამ საგანგებო რეჟიმში და იქ, სადაც ადეკვატურობის ფარგლებში მაინც შეიძლება ელემენტარული უფლებების ქონა, რომ ჩვენი ვალდებულებები განვახორციელოთ, ხელისუფლება ადეკვატურ უფლებებსაც არ გვიტოვებს, რომ შენ ამ კრიზისის პირობებში რაღაც იძულებებსა და ვალდებულებებს გაუმკლავდე.

ამიტომ მე საკმაოდ მკაცრი შეფასება მაქვს ამ ყველაფრის, თანაც ვხედავ, რომ ხელისუფლებას ეს მდგომარეობა მოეწონა. ხალხის შეკრება აკრძალულია, ე.ი. ოპოზიციური აქტივობები ვერ იქნება.

– ხელისუფლების რეიტინგმა მოიმატა?

– ვინც ამას ამბობს, მე არ ვიცი, ამ რეიტინგს რით თვლის. ახლა რომ რეიტინგმა, დავუშვათ, აიწია, ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. ბუნებრივია, აიწევს, იმიტომ რომ დღეს მმართველი პარტია შეუდავებელი, სრული და ზეძალაუფლების ზენიტშია.

– ოპოზიციაც აღარ ჩანს ასპარეზზე.

– ამ პირობებში ვერც იქნება. აქა-იქ, შესაძლოა, სოცქსელში თუ სატელევიზიო ჩართვისას აზრი გამოთქვას, მაგრამ ეს პროცესი არ არის, ეს კანტიკუნტი კომენტარებია. ამ შემთხვევაში იმპერატორის როლი აქვთ პრაქტიკულად მორგებული, ხელმძღვანელი პირები მონარქებად იქცნენ, მაგრამ მთავარი პროცესი ჯერ არ დამდგარა.

ჯერ ხალხში ამუშავებენ დაშინებას ვირუსის ფაქტორით და ხვალზეგ გამოწვევები გაათმაგდება, ხელისუფლების მიერ ზოგიერთ პროდუქტზე დაჭერილი ფასები გაიქცევა, ხალხს მომარაგებული პროდუქტი დაუმთავრდება. ეს ყველაფერი ჯერ წინ არის.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ესეც არ აღელვებს, აწყობს ეს პროცესი, რომ სრული ძალაუფლების რეჟიმში რასაც და როგორც უნდა, ისე გააკეთებს, მათ შორის ისეთ რაღაცებს, რომლებსაც ადრე მოჰყვებოდა საზოგადოებრივი რეაქცია. ეს ფაქტორი საერთოდ ჩაიხსნა და „ოცნება“ ზეძალაუფლების რეჟიმშია.

– ამ რეჟიმში მუდმივად ხომ ვერ იქნება?

– ვერ იქნება, მაგრამ, როდესაც პროცესებზე სრული კონტროლი და ძალაუფლება აიღეს, შესაძლოა, ეს მონსტრი, არა მხოლოდ პროპაგანდის, არამედ ძალაუფლებისაც შეიქმნას. იმიტომ ვთქვი, რომ ტოტალიტარიზმის ზღურბლთან ვდგავართ.

რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული ტოტალიტარიზმი, მაგრამ ზღურბლთან ნამდვილად ვართ. არ არის გამორიცხული, სისტემად ჩამოყალიბდეს. ორი დღის წინ პოლიტიკოსი გოგი წულაია დაეკავეს პოლიტიკური განცხადებების გამო, ოღონდ – სრულიად სხვა ფაქტორით. ესეც საკმაოდ სერიოზული ქეისია. მან გარკვეული საჯარო უკმაყოფილება გამოთქვა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის გამო დააკავეს.

ასევე ვხედავთ, რა ხდება სოციალურ მედიაში, ნებისმიერ კრიტიკულ აზრს რა მდგომარეობას უქმნიან. პრაქტიკულად, კრიტიკული აზრის ქონის უფლებას გვართმევენ. ეს არის უკვე ძალაუფლების მქონე მონსტრის შექმნის პროცესი. ეს პროცესი ჯერჯერობით აქეთკენ მიდის.

– საარჩევნო წელია, გაიმართება საერთოდ არჩევნები?

– შეიძლება, არჩევნები არც გაიმართოს. გააჩნია, როგორ წავა პროცესები. ეს ხომ გლობალური პრობლემაა, თუმცა, ხელისუფლებას თუ ამის საშუალება მიეცემა, შესაძლოა, ნაუცბათევად ჩაატაროს, სანამ რეიტინგს დაკარგავს. ეს ხელს აძლევს. პლუს ამას, შესაძლოა, ეს ყველაფერი ისევ ძველი საარჩევნო მეთოდით ჩაატარონ. დაიწყებენ პროპაგანდას, რომ ვერ მოესწრო ცვლილებები და ძალიან სწრაფად გამოიყენონ ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობა. შესაძლოა, საკუთარი თავი ისევ მოიყვანონ დიდი უმრავლესობით.

– ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ ხელსაყრელი გარემო შეექმნა. გაუშვებს ამ შანსს ხელიდან?

– ნამდვილად შეექმნა და, არა მგონია, გაუშვას. უბრალოდ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევად მიაჩნიათ.

ნინო ლომჯარია: „თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის გამოძიება უნდა განახლდეს“

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიების განახლება აუცილებელია.

ამის შესახებ 2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშშია აღნიშნული.

ანგარიშის თანახმად, ვინაიდან არ ჩატარებულა ცალკეული მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას გამოძიების განახლების შესახებ წინადადებით მიმართა, გამოძიება უნდა განახლდეს.

ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროკურატურის მიერ წარმართული გამოძიება ხარვეზებს შეიცავდა, რის გამოც, სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ეფექტიანი გამოძიების წარმართვის ნაწილში, ომბუდსმენს შეუსრულებლად მიაჩნია.

ამავე ანგარიშის თანახმად, იმის დასადგენად, იყო თუ არა სპეციალური ოპერაციების თანამშრომლების მიერ ლეტალური იარაღის გამოყენება განპირობებული აბსოლუტური აუცილებლობით, საჭიროა შეფასდეს თავად სპეციალური ოპერაციის (მაჩალიკაშვილის შემთხვევაში, დაკავების ოპერაციის) განხორციელებული კონტროლი.

„სახელმწიფო ასევე ვალდებულია, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება, როდესაც ადამიანის გარდაცვალება ძალის გამოყენების თანმდევი შედეგია. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაკავების ღონისძიების მიმდინარეობისას კომუნიკაციისთვის გამოიყენებოდა ხელის რადიოსადგური (რაცია).

აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში არ არის მოპოვებული რაციის ჩანაწერები, რაც საქმისთვის, ღონისძიების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის არარსებობის პირობებში, შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს.

გამოძიებას ასევე არ მოუპოვებია ოპერაციის განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სპეცოპერაციის პერიოდში ერთმანეთს შორის სატელეფონო კომუნიკაციის, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო პროგრამებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიება აუცილებლად უნდა განახლდეს, რადგან კვლავ დაუდგენელია და ღია რჩება ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, დამატებით გამოძიებას საჭიროებენ.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა გეგმა და ოპერაციის მსვლელობაზე წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომლითაც თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლება მოითხოვა.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ გამოძიების განახლების შესახებ წინადადება დაკმაყოფილდება. აპარატი აღნიშნულ საკითხს დამატებით კვლავ შეისწავლის და საზოგადოებას მიაწვდის სამომავლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციას“, – ნათქვამია ანგარიშში.

ასევე ანგარიშში აღნიშნულია, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე საქართველოს სახალხო დამცველის განსაკუთრებული ინტერესის საგანია, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქართველოს სახალხო დამცველმა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, შეისწავლა თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულობა და ხარისხი.

„მასალების შესწავლის შედეგებით და საგენტოს პასუხით, უფლების დარღვევის ნიშნები, ამ მიმართებით, არ გამოიკვეთა.

პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ გამოძიება დაიწყო ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, ხოლო 2020 წლის 25 იანვარს, შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, საქმეზე გამოძიება შეწყვიტა“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

სახალხო დამცველის ანგარიშში ია კერზაიას გარდაცვალების საქმეც მოხვდა.

ნინო ლომჯარიას შეფასებით, ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე დაგვიანებით დაწყებული გამოძიების გამო, საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება და სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ მიუღებელი იყო საქმეზე გამოძიების დაწყებამდე საპროცესო მოქმედებების არაფორმალურად ჩატარება.

გარდა ამისა, სახალხო დამცველისთვის გაუგებარია, რატომ დაიწყო პროკურატურამ გამოძიება მიმართვიდან დაახლოებით 2 თვეში.

„საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი გაეცნო ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიების მასალებს და გამოძიების შედეგები განცხადებით შეაფასა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ 332-ე) მუხლით დაიწყო და მიმდინარეობდა, საქმის მასალების შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველი სიცოცხლის უფლების პოზიტიურ ასპექტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი, ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებით ხელმძღვანელობდა.

ია კერზაიამ 2018 წლის 26-27 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, საჯაროდ განაცხადა მის მიმართ მიმდინარე პოლიტიკური ზეწოლის შესახებ. 9 დეკემბერს იგი ინსულტის შედეგად გარდაიცვალა. აღნიშნული ფაქტიდან 10 დღეში გარდაცვლილის შვილმა, ბაჩანა შენგელიამ, პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა.

პროკურატურამ გამოძიება, მიმართვიდან დაახლოებით 2 თვეში, 2019 წლის 11 თებერვალს დაიწყო, რაც გაუმართლებელი დაგვიანების მანიშნებელია. გაუგებარია პროკურატურის მოტივაცია გამოძიების დაწყების ამგვარი დაყოვნების შესახებ.

სახალხო დამცველის შეფასებით, დაგვიანებით დაწყებული გამოძიების გამო, საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება და სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა.

პროკურატურამ სხვადასხვა ინფორმაცია ისედაც დაგვიანებული გამოძიების პირობებში, დამატებითი დაგვიანებით გამოითხოვა, რამაც გამოძიების უშედეგოდ დასრულება განაპირობა.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მიუღებელი იყო საქმეზე გამოძიების დაწყებამდე საპროცესო მოქმედებების არაფორმალურად ჩატარება“, – ნათქვამია ანგარიშში.

„ეს მესიჯები შსს-ს არ გამოუგზავნია“

სამინისტრო განმარტებას აკეთებს

შსს უწყების სახელით მობილური ოპერატორების აბონენტებთან დაგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ბოლო პერიოდში საქართველოს მობილური ოპერატორების ცალკეულ აბონენტებს UCKEBA-ს სახელით დაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები შემდეგი შინაარსით: „თქვენ დაჯარიმდით კომენდანტის საათის დარღვევის გამო, ჯარიმის ოდენობა 3000 ლარი. R.M. police.ge“.

„ზემოაღნიშნული მოკლე ტექსტური შეტყობინებები არ არის გაგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და არ შეესაბამება სიმართლეს.

აღნიშნულ და სხვა ანალოგიურ ფაქტებზე მიმდინარეობს შესწავლა, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოჰყვება შესაბამისი რეაგირება“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჯგუფურად განხორციელებულ ყაჩაღობაში ბრალდებულს 9 წლით პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში ბრალდებული ზ.ბ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 4 ივლისს ქ. თბილისში, აეროპორტის ხიდების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქურდობისთვის ნასამართლევი ზ.ბ., თანამზრახველთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხა ირანის მოქალაქე ყ.ჯ.-ს.

თავდამსხმელებმა დანის გამოყენების მუქარით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, დაზარალებულს 1.200 ლარად ღირებული სამსუნგის ფირმის მობილური ტელეფონი და თანხა გასტაცეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ზ.ბ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად; არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ზ.ბ დამნაშავედ ცნო წარდგენილი ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისში, ვერეს ხეობაში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს

თბილისში, ვერეს ხეობაში, პოლიციამ მამაკაცის ცხედარი იპოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

პოლიციამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 706 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ. პოლიცია, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებს.

სამართალდამცველებმა, მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 706 ახალი ფაქტი გამოავლინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, 1 აპრილის 21 საათიდან 2 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 204 მოქალაქე დააჯარიმეს.

გარდა ამისა, პოლიციამ საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრებისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო 75 მოქალაქე დააჯარიმა.

1 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი დაჯარიმდა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის ფაქტზე.

პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს განაგრძობს.

ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 10 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

ასევე, სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე 415 პირი დაჯარიმეს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

გორში ცოლის ცემისთვის ჯ.ბ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ჯ.ბ. არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ში აცხადებენ, რომ დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სვენეთში, დასთან სტუმრად ყოფნის დროს, მეუღლეს, 1992 წელს დაბადებულ ი.ო.-ს არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11 პრიმა-151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილ ძალადობასა და ოჯახის წევრის მიმართ მუქარას გულისხმობს“, – აცხადებენ შსს-ში.

აშშ: „ჩინეთმა კორონავირუსის შესახებ რეალური ინფორმაცია დამალა“

ჩინეთი: „ეს განცხადებები გულის ამრევია“

გუშინ, 2 აპრილს, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციამ განაცხადა, რომ ჩინეთის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები კორონავირუსთან დაკავშირებით სანდო არ არის. ასევე არ არის სანდო ის ინფორმაცია, რომელსაც რიგი ქვეყნები ავრცელებენ.

ასოციაციის ხელმძღვანელ ფრანკ ულტრიხ მონტგომერის თქმით, აღნიშნული მონაცემები სრული აბსურდია.

– ჩინეთი გამიზნულად მალავდა რეალურ ინფორმაციას და ყალბ მონაცემებს გვაწვდიდა. ზოგიერთი ქვეყნის მონაცემიც ასევე გაუგებარია და ხშირ შემთხვევაში რეალობა ვერ დგინდება, – აღნიშნა მონტგომერიმ.

ჩინეთის მიერ ინფორმაციის დამალვაზე საუბრობენ თეთრ სახლშიც. კერძოდ, „ბლუმბერგისთვის“ დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტის ნაწილი გახდა ცნობილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ოფიციალურმა პეკინმა გამიზნულად დამალა ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის აზრით, აშშ კორონავირუსის პანდემიას უფრო მომზადებული შეხვდებოდა, რეალური ინფორმაცია რომ ჰქონოდა ჩინეთიდან.

– რეალობა ის არის, რომ ჩვენ უკეთესად მოვემზადებოდით, რომ გვცოდნოდა რეალური შედეგები ჩინეთში. აშკარაა, რომ როცა მსოფლიომ ამ ვირუსის შესახებ დეკემბერში გაიგო, ჩინეთი მას უკვე ერთი თვით ადრე ებრძოდა, – აღნიშნა პენსმა.

ჩინეთმა ბრალდებებს გუშინვე უპასუხა. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ჰუა ჩუნინგმა პეკინში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ ჩინეთი ღია და გამჭვირვალე იყო.

მან მკაცრად გააკრიტიკა ამერიკელი მაღალჩინოსნები, რომლებმაც ჩინეთის მხრიდან ინფორმაციის შესაძლო დამალვის შესახებ ეჭვები გამოთქვეს.

– ამერიკელი პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული ეს კომენტარები, უბრალოდ, სამარცხვინო და მორალურად გულის ამრევია. მათ უარი უნდა თქვან საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების ამგვარ პოლიტიზებაზე. ეს, უბრალოდ, უზნეო და არაადამიანურია და ამას მთელ მსოფლიოში დაგმობს ხალხი, – განაცხადა პრესსპიკერმა.

ტაილანდის მეფე საყვარლებთან ერთად თვითიზოლაციაში საზღვარგარეთ იმყოფება

ტაილანდის მეფე მახა ვაჩირალონგკორნ რამა X კორონავირუსის გამო თვითიზოლაციაში თავის 20 საყვარელთან ერთად საზღვარგარეთ მდიდრულ სასტუმროში იმყოფება.

67 წლის ტაილანდის მეფემ ოთხვარსკვლავიანი გერმანული სასტუმრო Grand Hotel Sonnenbichl-ს ყველა ნომერი შეისყიდა და იქ კარანტინის დროს თავის ათეულობით საყვარელთან ერთად დაბინავდა. ამ ინფორმაციას გერმანული მასმედია ავრცელებს. ამავე დროს უცნობია, იმყოფებიან თუ არა იქ მასთან ერთად მისი მეუღლეებიც. გერმანიის ხელისუფლებამ, მიუხედავად საყოველთაო იზოლაციის გამოცხადებისა, რამა X-ს ქვეყანაში შესვლის ოფიციალური ნებართვა მისცა.

როგორც კი ამ ინფორმაციამ სოციალურ ქსელებში გაჟონა, ტაილანდელები საკუთარ მეფეს აუმხედრდნენ. მათ ტვიტერში შემოიღეს ხეშტეგი, რომელიც ტაილანდურად ნიშნავს „რაში გვჭირდება მეფე?“ ამ ხეშტეგით უკვე მილიონზე მეტი პუბლიკაცია გამოქვეყნდა. ადგილობრივებმა, მიუხედავად ტაილანდის კანონებისა, საკუთარი აღშფოთება გამოხატეს. ქვეყნის კანონის თანახმად, მონარქის შეურაცხყოფა 15 წლით პატიმრობით ისჯება.

პრინც უილიამს სანიტარიული ავიაციის პილოტობა სურს

ბრიტანეთის პრინც უილიამს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სამსახურში სანიტარიული ავიაციის პილოტის რანგში დაბრუნება სურს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

37 წლის კემბრიჯის ჰერცოგი მარტში სამხრეთ ლონდონში ბორო კროიდონში მდებარე ინგლისის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამსახურის ცენტრს სტუმრობდა. ამ ვიზიტის დროს მან აღიარა, რომ სურს, ისევ იმუშაოს სანიტარიული ავიაციის პილოტად, რათა საკუთარი წვლილი შეიტანოს კორონავირუსთან ბრძოლის საქმეში.

– უილიამი სერიოზულად ფიქრობს სანიტარიულ ავიაციაში პილოტად დაბრუნებაზე, რათა პანდემიასთან ბრძოლაში მიიღოს მონაწილეობა. მან კარგად იცის, რომ მთელი ქვეყანა ებრძვის სასიკვდილო ინფექციას და სურს, მასში საკუთარი წვლილი შეიტანოს, თუმცა ეს ადვილი არ არის, ვინაიდან ადრე მან ეს სამსახური იმისთვის დატოვა, რომ სამეფო ოჯახის მოქმედი უფროსი წევრი გამხდარიყო, – განაცხადა ბრიტანულ გამოცემასთან საუბარში ინფორმირებულმა წყარომ.

პრინცი უილიამი აღმოსავლეთ ინგლისის სანიტარიულ ავიაციაში პილოტად 18 თვის განმავლობაში, 2015-დან 2017 წლის ჩათვლით მუშაობდა.

საფრანგეთში საალდგომოდ ცენტრალურ მაგისტრალებს გადაკეტავენ

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მოსახლეობამ წელს სააღდგომოდ უნდა დაივიწყოს „დიდი გადაადგილება“, რომელიც დღესასწაულზე მოქალაქეების მოგზაურობას გულისხმობს.

გადაადგილების შესამცირებლად ცენტრალური მაგისტრალები გადაიკეტება.

– დღესასწაულის დღეებში არ იმოგზაუროთ. ნებისმიერი, ვინც დაარღვევს წესებს, დაჯარიმდება. ვიცი, რომ ეს რთულია, მაგრამ – აუცილებელი, – განაცხადა ქვეყნის შს მინისტრმა კრისტოფ კასტენერმა.

საფრანგეთში მკაცრი კარანტინი 17 მარტს გამოცხადდა.

მამამ კორონავირუსის გამო მოგზაურობიდან დაბრუნებული შვილი სახლში არ შეუშვა

ამერიკის ნიუ იორკის შტატის ქალაქ ნანუეტის მკვიდრმა მოგზაურობიდან დაბრუნებული შვილი სახლში არ შეუშვა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ის, შესაძლოა, კორონავირუსით ყოფილიყო დაინფიცირებული.

პიტერ ლევინმა თავის 21 წლის შვილს მეთს ურჩია, გაზაფხულის არდადეგებზე ტეხასის შტატის ქალაქ საუტ-პადრე-აილენდში არ გამგზავრებულიყო, რათა კორონავირუსით არ დაინფიცირებულიყო. შვილმა მამის რჩევა ყურად არ იღო და მაინც გაემგზავრა.

მოგზაურობის დროს მეთმა მამას გამოუგზავნა ფოტოსურათი, რომელზეც თავად ის და მისი მეგობრები ისეთ პირობებში იყვნენ აღბეჭდილნი, რომლის დროსაც თავისუფლად იყო შესაძლებელი მათი კორონავირუსით დაინფიცირება, კერძოდ, რამდენიმე ფოტოზე ჩანდა, რომ ის, მეგობრებთან ერთად, ხალხში მდგომი უსმენს ცოცხალ მუსიკას.

მეთი და მისი მეგობრები პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს სახლში დაბრუნების დროს გადააწყდნენ. მათი ნიუ იორკში დასაბრუნებელი რეისი ტენესიში იქნა გადამისამართებული მას შემდეგ, რაც ნიუ იორკის აეროპორტ ლაგუარდიაში კორონავირუსის შემთხვევა გამოვლინდა.

როდესაც მეთი სახლში დაბრუნდა, საკუთარ ავტომობილში დახვდა წერილი და პროდუქტები.

– ჩვენთან მისი ბებია და პაპა ცხოვრობენ და საჭირო არ არის, მათი დაინფიცირების რისკი გავზარდოთ, – განმარტა ლევინმა.

შედეგად მეთი იძულებული გახდა, იმ ბინაში დაბრუნებულიყო, რომელიც მასაჩუსეტსში, კოლეჯის მახლობლად ჰქონდა დაქირავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პუტინმა რეპრესიული ზომები გაამკაცრა

ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა ყველა, ვინც საკარანტინო რეჟიმს დაარღვევს. მინიმალური ჯარიმა 50-60 ათასი რუბლია.

გაცილებით მკაცრად დაისჯებიან ისინი, ვინც, პუტინის აზრით, ყალბ ინფორმაციას ავრცელებს. ამისთვის მათ 550.000 რუბლით დააჯარიმებენ.

– ეს სასჯელი ჩვენთვის არის გამიზნული, – აცხადებს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნავალნი.

– ჩვენი ლიბერალები ამერიკელების დაკვეთას ასრულებენ და მოსახლეობაში პანიკას თესავენ! ისინი ისევე უნდა დაისაჯონ, როგორც დიდი სამამულო ომის დროს შინსახკომელები ფაშისტების აგენტურას სჯიდნენ! – აცხადებს კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგი მარკოვი.

კორონავირუსი კი რუსეთში მწვავე პრობლემად რჩება. რუსეთის ვიცეპრემიერმა გოლიკოვმა მოითხოვა, რომ მომავალი კვირაც რუსეთში არასამუშაოდ გამოცხადდეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნუცა ბუზალაძემ „სონისთან“ თანამშრომლობა დაიწყო

მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ ხმის ჩამწერ კომპანია „სონისთან“ თანამშრომლობა დაიწყო და პირველი სინგლიც ჩაწერა. სიმღერა ინტერნეტში უკვე განთავსდა და ბევრი გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

სპეციალურად ნუცასთვის რუსეთში დაიწერა რუსულენოვანი სიმღერა „გოგონას სურდა, ჰყვარებოდა“, რომელიც მუსიკალურ ათეულებში გამოჩნდა და წამყვან პოზიციებსაც იკავებს:

– „სონისთან“ პირველი შემოქმედებითი თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემს კარიერაში. ასეთი თანამშრომლობა ჩემთვის აქამდე წარმოუდგენელი იყო.

განსაკუთრებული მადლობა სერგეი ლაზარევს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ჩემთვის.

ყველა ძალიან მიყვარხართ და მჯერა, რომ ჩემს ახალ სიმღერას სიამოვნებით მოისმენთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დიანა ბაგრატიონი: „სიცოცხლე ყველაფერია და მისთვის ყველაფერი ყველამ უნდა გავიღოთ“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ქართველი ქველმოქმედისა და მისი მეუღლის ვალერი კორტის ორგანიზებით, რომელიც მუსიკალური პროდიუსერია, ნიუ იორკში ბარბარა სტრეიზანდის, ლარა ფაბიანისა და პოლ მაკარტნის კონცერტები გაიმართა.

ამჟამად კი დიანა ბაგრატიონი ამერიკაში მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრშია:

– ყოველ მე-3 დღეს ვალანტიორად ვმუშაობ მერიაში 24-საათიანი მორიგეობით, როგორც ამერიკის მოქალაქე. ამავე დროს, ვცდილობ, დავეხმარო ინფორმაციით, როგორც შიდა მუშაკი, ჩვენს ქართულ თემს, ასევე ფინანსურად შეძლებისდაგვარად – ამერიკისა და არა მარტო ამერიკის ქართველ ემიგრანტებს. სადაზღვევოებს მძიმე გასაჭირი აქვთ, მყავს ექიმები, რომლებიც უანგაროდ უწევენ დახმარებას ყველას ტელეფონით 24 საათი. პანიკა საშინელებაა ადამიანისთვის, ძალიან დაბლა ეწევა იმუნიტეტი და ვერ ებრძვის ორგანიზმი ამ საშინელ ავადმყოფობას, ამიტომ მთავრობებმა 24-საათიანი ცხელი ხაზები შექმნეს მოსახლეობის დასამშვიდებლად და სხვა საკითხების სწრაფად მოსაგვარებლად. მეც ასეთ რეჟიმში მიწევს მუშაობა. აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებთან, ნიკოლოზ ჩხეიძესთან და ინა ასანიძესთან ერთად ვეხმარები ჩვენს ემიგრანტებს, ვუგვარებ პრობლემებს მერიაში მსოფლიოს ყველა ემიგრანტს, ცხელ ხაზზე ვპასუხობთ ყველა შეკითხვაზე.

დიანა ბაგრატიონი ფინანსურად ეხმარება არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დარჩენილ ქართველებს და სრულიად უცნობ ადამიანებს:

– მეკითხებიან, საიდან? გპასუხობთ – საკუთარი დანაზოგიდან. პანდემიის დროს ყველა ერთმანეთს ვუდგავართ გვერდში, ვისაც არ აქვს და აქვს, ვეხმარებით. არც ერთი ქართველი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. ვეხმარები ამერიკის მოქალაქეებსაც. 24-საათიან რეჟიმში მე და ჩემს გუნდს არ გვძინავს. ახლა ძალა მხოლოდ ერთად დგომაშია. სხვათა შორის, თქვენი კოლეგა ლელა ნინუა თავის ოჯახთან ერთად გვერდში გვიდგას. მე ყველაფერს ვერ მოვასწრებ, ამიტომ მათი დახმარებით პროდუქტები შევიძინეთ და დავურიგეთ მოქალაქეებს. ამ დღეებშიც აქტიურობა გაათმაგდება. ეს ქართველების ღირსებაა. არასოდეს დავდგეთ ჩრდილში და არ შევუშინდეთ პრობლემებს. იმედია, ყველაფერი მალე დასრულდება და მსოფლიო გაიმარჯვებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტარიელ ხარხელაური გიორგი გახარიასადმი მიძღვნილი ლექსის გამო გააკრიტიკეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

და ბოდიშიც კი არ მოუხდია, მაგას მკითხველი ნამდვილად არ გაპატიებს. თან, გალაკტიონიც არ ხარ...

კარგად ვიცნობ იმ პოეტს, რომელმაც ეს ჩაიდინა და განსაკუთრებით ამის გამო დამწყდა გული. უწერენ ახლა იქ სამთავრობო ბოტები და ტროლები, გენიალური ხართ ორივე – თქვენც და გახარიაცო.

ტარიელ ხარხელაურმა პაატა შამუგიას ასე უპასუხა:

„პატივაყრილი მორალი და პატივაყრილი ტრადიცია მსხვერპლად ეწირება მომავლის და დროის დაუნდობელ ამბიციას, გულო, ტკივილებით დასერილო, დღენი, სისხლს მიშრობენ უმზეონი, რადგან წუთისოფლის ბრმა სცენიდან მორალს მიკითხავენ უზნეონი...“

ტარიელ ხარხელაურს მისი კოლეგა **გელა დაიური** გამოექომაგა:

– დღეს რატომაც ვისჯებით, ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთსიძულვილის, შურის, გაუტანლობის, ბოღმის ბრალია, თუმცა, მაინც რომ ვერ ვსწავლობთ ჭკუას, ფაქტია.

ტარიელ ხარხელაურის ეპოქაში რომ გვიწევს ცხოვრება, ვფიქრობ, მადლობა უნდა ვუთხრათ უფალს. ეს ადამიანი არის შინაგანი სიწმინდის, სისუფთავის, მაღალი ზნეობის, ვაჟკაცური კაცობის მაგალითი. მას ტალახი არ მიეკარება, მსროლელი კი ტალახში იქნება ამოსვრილი მთელი ცხოვრება და უფალთან აგებს პასუხს.

ტარიელ ხარხელაური – ამ გვარ-სახელის ხსენებაც კი მეკრძალება და მერიდება, იმდენად ბუმბერაზ ადამიანზე ვსაუბრობ.

დასაწყისში ვთქვი, რის გამოც ვისჯებით და რის გამოც გვცდის და განსაცდელს გვიმზადებს უფალი. ერთს ვიტყვი და დავასრულებ, ტარიელ ხარხელაურის მძაგებელი ადამიანი ქართველად არ მიმაჩნია და ჩემი მეგობარი ვერასდროს იქნება.

პ.ს. ტურების კივილი ლომს ვერაფერს დააკლებს!

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

ბელარუსთან მატჩი ისევ გადაიდო, ჩემპიონატები უნდა გაგრძელდეს

უეფას გადაწყვეტილებით, ივნისის სანაკრებო პაუზა გაუქმდა და ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფის ყველა მატჩი გადაიდო. შესაბამისად, საქართველოსა და ბელარუსის ნაკრებებს შორის გასამართი ევროპირველობის ფლეი ოფის მატჩი, რომელიც 4 ივნისისთვის იყო დაგეგმილი (თავდაპირველად 26 მარტს იყო ჩანიშნული), კიდევ ერთხელ გადაიდო და, სავარაუდოდ, ზაფხულის ნაცვლად მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება.

ეროვნული ნაკრების მსგავსად ზაფხულის სანაკრებო პაუზის პერიოდში მატჩები საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებსაც უნდა გაემართათ, მაგრამ, კორონავირუსის გარშემო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს მატჩებიც გადაიდო.

გაუქმდა 2020 წლის 17-წლამდე ევროპის ჩემპიონატი და, შესაბამისად, ჩვენი 17-წლამდე ნაკრები ელიტრაუნდში მონაწილეობას ვერ მიიღებს. 19-წლამდე და 21-წლამდე ნაკრებები მატჩები კი, ეროვნულის მსგავსად, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის გადაიდო.

უეფას გადაწყვეტილებით, 2020-21 წლების სეზონისთვის ევროტურნირები ივლისის ნაცვლად, სავარაუდოდ, აგვისტოდან დაიწყება. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიცვალა ლიცენზირებისა და განაცხადის წარდგენის ვადები.

სხვა ასაკობრივ ტურნირებთან ერთად, ასევე გაუქმდა 19-წლამდე გოგონების ევროპის 2020 წლის ჩემპიონატი, რომელიც საქართველოში უნდა გამართულიყო. ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მიმართა უეფას და გამოთქვა მზადყოფნა იმის შესახებ, რომ უმასპინძლოს გოგონათა რომელიმე ასაკობრივი ჯგუფის ევროპის ჩემპიონატს.

მედიის ინფორმაციით, უეფამ მისი საკლუბო ტურნირები, ჩემპიონთა ლიგა და ევროპალიგა კიდევ ერთხელ გადადო. ამჯერად, ივლის-აგვისტოსთვის. ვარაუდობდნენ, რომ ევროტურნირები ივნისში განახლდებოდა, მაგრამ ეს საკმაოდ ოპტიმისტური გათვლა ყოფილა.

საერთაშორისო მატჩები ივნისში (მათ შორის ევროს ფლეი ოფები) ასევე გადადებულია და ისინი არ ჩატარდება შემოდგომამდე. ეს გადაწყვეტილება მომდევნო სეზონსაც არევს, რადგან ახალი სეზონი ევროპაში აგვისტოდან იწყება, ევროთასები კი კიდევ უფრო ადრე – ივლისში, ცხადია, სანამ ევროპული სეზონი არ დასრულდება ახალს არ დაიწყებენ.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალს სტამბოლმა უნდა უმასპინძლოს. თავიდან ფინალის გამართვა 30 მაისს იყო დაგეგმილი, შემდეგ თარიღმა ივნისის ბოლოსთვის გადაიწია, ახალი თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

ყველა ეს გადაწყვეტილება უეფას აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს და შემდეგ გაოფიციალურდება.

ნიკა ნინუა: „მომავალში უკეთეს შემოთავაზებებს ველოდები“

როგორ მოქმედებს იძულებითი შესვენება სპორტსმენებზე, როგორ ახერხებენ ფორმაში ყოფნას და როგორ მოქმედებს მათი ცხოვრების წესზე? — ამ საკითხებზე თბილისის დინამოს კაპიტანი ნიკა ნინუა გვესაუბრება.

– ახლა მთელი საფეხბურთო სამყარო ისვენებს. რა შეიცვალა ყოველდღიურ ცხოვრებაში?

– რა თქმა უნდა, ყოველდღიური რეჟიმი შეიცვალა, მაგრამ ვცდილობ, სახლის პირობებში მაქსიმალურად ვივარჯიშო. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო.

– ჩემპიონატი მხოლოდ 2 ტურის დაწყებული იყო და გუნდები სრულ სათანადო კონდიციებში ისედაც არ იყვნენ. იძულებითი პაუზა ალბათ მათ ფორმაში შესვლაში ხელს შეუშლის.

– ცხადია, პაუზა ფეხბურთელებსა და გუნდებზე იმოქმედებს. სეზონი ახალი დაწყებული იყო და გუნდები სათამაშო ფორმას ნელ-ნელა კრეფდნენ, ახლა კი ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევთ. როცა ჩემპიონატი განახლდება, ორმაგი და სამმაგი დატვირთვით შრომა მოგვიწევს.

– რა განწყობაა დინამოში, სადაც წინა სეზონის შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა?

– წელს კარგი გუნდი ვართ და ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. ჯერჯერობით, სრულად შეთამაშებულნიც არ ვიყავით. საწყის მატჩებში ბევრი რამ გამოჩნდა, რაზეც ბევრი უნდა ვიმუშაოთ. სწორი მიდგომით გუნდი მალე შევა სათანადო ფორმაში. დინამოს მიზანი ყოველთვის პირველი ადგილია. გამონაკლისი არც წლევანდელი წელია. მიზნად ტიტულის დაცვა და ევროტურნირებზე ჯგუფში მოხვედრა გვაქვს.

– სეზონში დინამოს პირველი გოლი შენ გაიტანე და ეს უშუალო კონკურენტ ბათუმის დინამოსთან მოხდა, რაც განსაკუთრებულადაც აღნიშნე. რას იტყვი ერთ-ერთ კონკურენტთან შეხვედრაზე?

– დაძაბული შეხვედრა გამოვიდა. ძალიან ბევრი მომენტი შევქმენით და რეალიზება კი ვერ მოვახერხეთ. სანაცვლოდ გავუშვით, ამის მერე გატანილი გოლი კი განსაკუთრებულად ემოციური იყო. რაც შეეხება აღნიშვნას, ეს იმ ადამიანებს ეხებათ, რომლებსაც ჩემს თამაშზე კითხვები ჰქონდათ.

– წინ მთელი სეზონია, რომელიც, იმედი გვაქვს, მალე განახლდება. რომელ გუნდებს მიიჩნევ ტიტულისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად?

– ყველა გუნდი ანგარიშგასაწევია, თუმცა განსაკუთრებით რთული მეტოქეები ბათუმის დინამო, საბურთალო და ლოკომოტივი არიან.

– ზამთარში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბევრი შეთავაზება გქონდა. რეალურად რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ და რატომ გადაწყვიტე დინამოში დარჩენა?

– შემოთავაზება ნამდვილად იყო, თანაც სხვადასხვა ჩემპიონატის რამდენიმე კლუბისგან. თუმცა ამ საკითხზე კლუბის პრეზიდენტ რომან ფიფიასთან ერთად ვიმსჯელე და გადავწყვიტე, რომ დინამოში დარჩენა ყველაზე კარგი ვარიანტი იყო. წინ ჩემპიონთა ლიგა გველის და მინდა, ევროტურნირებზე დინამოსთან ერთად ვითამაშო. ვნახოთ, მომავალში, შესაძლოა, უკეთესი შეთავაზებაც გამოჩნდეს.

– წინა სეზონში არაერთი ლამაზი გოლი გაიტანე, მათი უმეტესობა – სტანდარტული მდგომარეობიდან. საჯარიმოს შესრულების განსაკუთრებული ტაქტიკა გაქვს? რომელ ფეხბურთელს მიიჩნევ ამ საქმეში საუკეთესოდ?

– არა, არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ, დარტყმის ჩემეული სტილი მაქვს, რომლის განვითარებაზეც ბევრს ვვარჯიშობ. რაც შეეხება საუკეთესოებს, ჩემი აზრით, საჯარიმოს ყველაზე კარგად ფეხბურთის ისტორიაში დევიდ ბექჰემი და ლიონელ მესი ასრულებენ.

– ბავშვობაში რომელ გუნდს გულშემატკივრობდი და ვინ არის შენთვის იდეალური ფეხბურთელი?

– მადრიდის რეალს, ჩემთვის მისაბაძი ფეხბურთელი კი კრიშტიანუ რონალდუა.

კლუბები კოტრდებიან, ფიფა 2,5 მილიარდს გადაიხდის

კორონავირუსის პანდემიის გამო საფეხბურთო კლუბებს, რომლებსაც საკუთარი აქციები საერთაშორისო ბირჟებზე აქვთ, სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

მაგალითად, ტურინის იუვენტუსის აქციების ფასი 21,16%-ით დაეცა, თუმცა, კლუბის გადაწყვეტილებამ, შეეკვეცა ფეხბურთელების ხელფასები, ნეგატიური ეფექტი მცირედით დააკომპენსირა.

დაზარალდა მანჩესტერ იუნაიტედიც, რომლის აქციების ფასი 11,06%-ით დაეცა. ყველაზე სერიოზული პრობლემები კი ბუნდესლიგაში დორტმუნდის ბორუსიას შეექმნა – კლუბის აქციების ღირებულება 36,76%-ით შემცირდა.

ეს კიდევ არაფერი – რამდენიმე გუნდი სრულად გაკოტრების წინაშე დგას. ერთ-ერთი მათგანი სლოვაკური ჟილინაა – ფინანსური კრიზისის გამო სლოვაკეთის 7-გზის ჩემპიონი არსებობას შეწყვეტს.

სლოვაკური მედიის ცნობით, გუნდმა, რომელიც ჩემპიონატზე მე-2 ადგილზეა, ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო, კლუბის ფეხბურთელებმა და თანამშრომლებმა შეტყობინება მიიღეს, რომ 30 აპრილის შემდეგ შეუძლიათ, ახალი სამუშაო მოძებნონ.

– პირველ რიგში, კონტრაქტები ფეხბურთელებს გავუწყვიტეთ, რომლებსაც მაღალი ხელფასები ჰქონდათ. ერთი თვის შემდეგ თავისუფალი აგენტები გახდებიან და სხვა გუნდებში შეუძლიათ ითამაშონ, თუ, რა თქმა უნდა, მათი სამსახურით დაინტერესდებიან, – წერს კლუბის ვებგვერდი.

კლუბების ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო რუსეთშიც: საუბარია პრემიერლიგის სამარის კრილია სოვეტოვსა და პირველი ლიგის ვლადივოსტოკის ლუჩზე.

აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც წერია, რომ კრილია 80%-ით საოლქო ბიუჯეტიდან ფინანსდება, კლუბის ხარჯები კი იზრდება და მისი შენახვა შეუძლებელი ხდება. კანონით, ამან კლუბის იძულებითი ლიკვიდაცია უნდა გამოიწვიოს.

საპასუხოდ, ფიფა უპრეცედენტო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება. იტალიური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო ამბობს, რომ ფეხბურთი გადარჩება:

– ჩვენ ვსწავლობთ შესაძლებლობას, ყველანაირად დავეხმაროთ მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებას უმძიმესი სიტუაციიდან თავის დასაღწევად.

ფიფას პრეზიდენტის გეგმა 2,5 მილიარდი ევროს მობილიზებას ითვალისწინებს. ინფანტინო განსაკუთრებით შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა პოპულარულმა სლოვაკურმა კლუბმა ჟილინამ, რასაც ანალოგიური ნაბიჯები შეიძლება მოჰყვეს სხვა ქვეყნების კლუბებისგან, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც ფეხბურთი მდიდარი არ არის.

ამას გარდა, ურუგვაის საფეხბურთო ასოციაციამ 400-მდე თანამშრომელი დაითხოვა და უწყებას ბოქლომი დაადო. ერთი სიტყვით, რეალურია საფრთხე, რომ ამუშავდეს „დომინოს პრინციპი“ და ამჟამინდელმა ვითარებამ სხვა კლუბებიცა და ასოციაციებიც გადაიყოლოს.

ევროპელებმა ფიფას ეს ჩანაფიქრი უკვე მონათლეს „მარშალის გეგმად“. ასე ეწოდა თავის დროზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯორჯ მარშალის გეგმას, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ევროპის აღორძინებას ისახავდა მიზნად.

მოამზადა მანუელ ყორეყოლიანმა

მარკ ოვერმარსი: „ფედერაცია და უეფა ტრამპს მაგონებს“

ამსტერდამის აიაქსი არ ეთანხმება ნიდერლანდების ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ერედივიზიონის დარჩენილი 8 ტური 3 აგვისტომდე უნდა ჩატარდეს. ამსტერდამული კლუბის იდეა სეზონის შეწყვეტაა.

აიაქსის სპორტულმა დირექტორმა მარკ ოვერმარსმა ნიდერლანდების ფეხბურთის ასოციაციის მიერ შემუშავებული გეგმა გააკრიტიკა. ოვერმარსი თვლის, რომ ასოციაციისთვის მთავარი პრიორიტეტი ფულია და აცხადებს, რომ სეზონი უნდა გაუქმდეს.

მარკ ოვერმარსი:

– ჩემპიონატი მკვდარია, სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია! ასეთ დროს ფული ხალხის ჯანმრთელობაზე წინ რატომ დგას? იმედი მქონდა, რომ ასოციაცია გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებდა, მაგრამ ისინი უეფა-ს ზურგს უკან იმალებიან. ვერაფრით ამიხსნია, ასე რატომ მოიქცნენ. ნიდერლანდებში ტრანსლაციების შედეგად მიღებულ შემოსავალზე ისე არ ვართ დამოკიდებულნი, როგორც ესპანეთში, ინგლისში, იტალიასა და გერმანიაში არიან.

ალბათ უეფამ მათზე ზეწოლა განახორციელა და სეზონის ნებისმიერ ფასად ჩამთავრება მოსთხოვა. ნიდერლანდების ფეხბურთის ასოციაციასა და უეფას დონალდ ტრამპს შევადარებდი. ეს უკანასკნელი რამდენიმე კვირის წინ თვლიდა, რომ ეკონომიკა კორონავირუსზე მნიშვნელოვანი იყო.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 2. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. პატარა, ხუჭუჭბეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. ქართველი მხატვარ-კერამიკოსი ქალი; 12. სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. მსუსხავი ბალახი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

თარაზულად: 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 8. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული, თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფულის ერთეული ყაზახეთში; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფირალი; 2. ხანუკა; 3. ენოლოგია; 4. ვლტავა; 6. ტალახაძე; 8. ოდისეა; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ალუჩა; 18. ბრერა.

თარაზულად: 1. ფოცხოვი; 5. ფიატი; 7. ენისელი; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. ლაღიძე; 15. ბანა; 19. გუდიარი; 20. კლიასერი; 21. საბურთალო; 22. ჯორჯია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლიპტონი; 2. კრევეტი; 3. ნიველირი; 4. ციცარი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. ტრავერსი; 13. ბეიძინი; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. ოკრიბა; 20. ნუტრია.

თარაზულად: 6. ქიმერიონი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. ზოსტერა; 11. დაბა; 14. კვესტურა; 15. ყარაყუმი; 18. ახმეტა; 21. კანბერა; 22. ბურჟუე; 23. არაგვი; 24. ვირსალაძე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2413

ევრო — 3.5460

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.0127

100 რუსული რუბლი — 4.1164

ამინდის პროგნოზი 3 აპრილისთვის

სოლსკიაერი: „ფეხბურთელებს ოპტიმალურ ფორმაში ყოფნას ვერ მოვთხოვ“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ კარანტინის დროს ფეხბურთელებმა ინდივიდუალურად უნდა ივარჯიშონ, მაგრამ ის ვერ მოსთხოვს მათ ოპტიმალურ ფორმაში ყოფნას:

– ყველანი ვნერვიულობთ და ამ პერიოდში ფეხბურთელებს ვერ მოვთხოვ, რომ მათ მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრონ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ვარჯიშობენ ინდივიდუალურად და ცდილობენ, ფორმაში იყვნენ. ყველას გვინდა, რომ ფეხბურთი დაგვიბრუნდეს, მაგრამ, არ ვიცით, ეს როდის მოხდება, თუმცა, იმედი მაქვს, რომ სეზონს დავასრულებთ.

იბრაჰიმოვიჩი კარიერის დასრულებას არ აპირებს

მილანის ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს, თუმცა, შესაძლოა, გადაწყვეტილება შეცვალოს, რადგან ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე:

– ჯერჯერობით ფეხბურთისგან სიამოვნებას ვიღებ და არ მინდა, კარიერა დავასრულო, მაგრამ, შესაძლოა, ყველაფერი ერთ დღეს შეიცვალოს. ამჟამად იტალიაში ძალიან რთული სიტუაციაა და, ბუნებრივია, ეს მაწუხებს. მინდა, ყველას ჯანმრთელობა ვუსურვო.

ჯერომ ბოატენგმა კარანტინი დაარღვია და ავარიაში მოხვდა

მიუნხენის ბაიერნმა თავისი მცველი ჯერომ ბოატენგი კარანტინის დარღვევის გამო დააჯარიმა, თუმცა უცნობია, რა თანხის გადახდა მოუწევს ფეხბურთელს.

ბოატენგმა კარანტინი დაარღვია და მცირე ავარიაშიც მოხვდა, რის გამოც დამატებით კრიტიკა დაიმსახურა. თანხა, რომელსაც ბოატენგი გადაიხდის, ჩაირიცხება მიუნხენის კლინიკებში, რომლებიც აქტიურად ებრძვიან კორონავირუსს.

სწორედ ამ ვირუსის გამო გერმანიის ჩემპიონატი მინიმუმ აპრილის ბოლომდე შეჩერებულია და უცნობია, როდის განახლდება.

მარკამ კრიშტიანო რონალდუ ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა

ესპანურმა გაზეთმა მარკამ გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც გაზეთის მკითხველებს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაესახელებინათ.

პირველ ადგილზე კრიშტიანო რონალდუ გავიდა, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ მარკა მადრიდული გაზეთია, ამიტომ ასეთი შედეგი მოულოდნელი არ უნდა იყოს.

მეორე ადგილი ლიონელ მესიმ დაიკავა, მესამეზე კი დიეგო მარადონა გავიდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 აპრილისთვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი წყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს აღვიძებს და ეკითხება:

– რა დაგემართა? ძილში რატომ ყვიროდი?

– დამესიზმრა, რომ ლამარა წყალში იხრჩობოდა.

– ვინ არის ლამარა?

– არ იცნობ, სიზმარში გავიცანი...

•••

ექიმი ქალს ეუბნება:

– თქვენ უფრო მეტი მძაფრი შეგრძნებები გჭირდებათ!

– რას მირჩევთ?

– მაგალითად... საყვარელი გაიჩინეთ...

– ორი მყავს!

– მაშინ მათ შესახებ ქმარს მოუყევით...

•••

დირექტორი დაჟინებული მზერით ათვალიერებს ახალ მდივან გოგონას.

– ოთხი ბავშვი, – ჩასჩურჩულებს ყურში კადრების განყოფილების უფროსი.

– შეუძლებელია! ასეთ ახალგაზრდა გოგონას უკვე ოთხი ბავშვი ჰყავს?!

– თქვენ გყავთ ოთხი ბავშვი...

•••

ნასვამი მამაკაცი ცდილობს სამშობიაროში მშობიარესთან შეაღწიოს:

– შემიშვით, მინდა ჩემი შვილი ვნახო!

სამშობიაროს თანამშრომელი ეუბნება:

– მამიკო, გამოვწერთ და სახლში რამდენიც გინდა უყურეთ.

აცრემლებული მამაკაცი პასუხობს:

– არა, სახლში მისი ქმარი არ შემიშვებს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„სუხიშვილების“ მოსწავლეები ცეკვას ვიდეოგაკვეთილებით შეისწავლიან

„სუხიშვილები“ სტუდიების მოსწავლეებს ცეკვას ვიდეოგაკვეთილების საშუალებით შეასწავლიან.

გადაწყვეტილება ანსამბლის ხელმძღვანელობამ მიიღო. სუხიშვილების მიერ თბილისის სხვადასხვა რაიონში დაარსებულ ფილიალებში ქართულ ცეკვას ათასობით ბავშვი სწავლობს.

განცხადება ონლაინგაკვეთილების დაწყების შესახებ ანსამბლის ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა გააკეთა და მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სტუდიებში მალე დაბრუნება უსურვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დიანა ბაგრატიონი: „სიცოცხლე ყველაფერია და მისთვის ყველაფერი ყველამ უნდა გავიღოთ“

ფონდი „დიანა ბაგრატიონი“ 2010 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა, რომელიც კიბოთი დაავადებულ ბავშვებს ეხმარება საქართველოსა და შეერთებულ შტატებში.

არაკომერციული საქველმოქმედო ფონდის მიზანი იმ ბავშვებისა და მოხუცების დახმარებაა, რომლებსაც სიცოცხლისთვის საშიში დაავადებები აქვთ. ფონდი მათ მკურნალობისთვის საჭირო ფინანსურ დახმარებას უწევს, ორგანიზებას უკეთებს კონცერტებს და შემოსული თანხით ეწევა ქველმოქმედებას.

– სიცოცხლე ყველაფერია და მისთვის ყველაფერი ყველამ უნდა გავიღოთ, – ამბობს ფონდის დამაარსებელი დიანა ბაგრატიონი. მას არასდროს უყვარს საკუთარ თავზე საუბარი და ამიტომაც დიალოგი ყოველთვის ამ სიტყვებით იწყება: „სხვებმა უნდა ილაპარაკონ“. მისი საყვარელი საქმიანობა ქველმოქმედება და ადამიანების დახმარებაა, ამიტომაც მისი ასეთი დამოკიდებულებაც მისაღები და გასაგებია.

დიანა ბაგრატიონი ქალაქ ნიუ იორკის მერიის თანამშრომელია კულტურის დარგში. მან ნიუ იორკში დააარსა „საქართველოს დღეები“.

– საქართველოს მხარესთან დადებულია მემორანდუმი და, იმედი გვაქვს, სექტემბერში ჩაფიქრებულ გრანდიოზულ დღეებს კვლავაც ჩავატარებთ, – ამბობს დიანა ბაგრატიონი.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

აჩიკო ნიჟარაძე გაყიდული ალბომების ფულით გაჭირვებულებს დაეხმარა

მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის დროს იმ გაჭირვებული ადამიანების დახმარება გადაწყვიტა, რომლებიც შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

მან ინტერნეტში თავისი მუსიკალური ალბომი სიმბოლურ ფასად – 20 ლარად გაყიდა და მოგროვილი თანხით 4 გაჭირვებული ადამიანის დახმარება შეძლო:

– ჩემი ალბომის გაყიდვებით შეგროვილი თანხა მოვახმარეთ კეთილ საქმეს. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღეთ ჩემ მიერ წამოწყებულ აქციაში და ამ ერთობლივი ძალებით დავეხმარეთ გაჭირვებულ ადამიანებს. ჩვენ ეს შევძელით.

შეგროვილი თანხა გავყავი ზუსტად თანაბრად და ოთხ ადამიანს გადავეცი თქვენი სახელით, საჭირო საკვებთან ერთად.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით ყველას. მიხარია, რომ ჩემი მეგობრები სრული შემადგენლობით იყავით ჩართული.

ქეთი დოლიძე პარტიებს აკრიტიკებს

რეჟისორი ქეთი დოლიძე პარტიებს აკრიტიკებს და მათთვის ხელფასების გადახდის წინააღმდეგია:

– საქართველოს მთავრობა – რაში იღებენ ეს უმაქნისი, უსაქმური პარტიები ხალხის ფულს?! რატომ ვუხდით ფულს ჩვენი ჯიბიდან?

რა გააკეთეს ამ ძნელბედობის ჟამს, გარდა მტრობისა?!

რადგან ახლა ყოველნაირი დაპირისპირება ქვეყნის მტრობაა!

მე ვერ ვერკვევი თქვენს კანონებში, მაგრამ უზნეობად მიმაჩნია მათი დაფინანსება!

წარმოადგინონ მათი „საქმიანობის“ დამადასტურებელი ცნობა!

რა გაუკეთებიათ, რა?!

ტარიელ ხარხელაური გიორგი გახარიასადმი მიძღვნილი ლექსის გამო გააკრიტიკეს



პოეტი ტარიელ ხარხელაური საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასადმი მიძღვნილი ლექსისთვის „მადლიერების გრძნობით გიორგი გახარიას“ გააკრიტიკეს. პოეტი **პაატა შამუგია** ამტკიცებს, რომ მკითხველი ამას ხევსურ პოეტს არ აპატიებს:

– გალაკტიონს ცოლი რომ გადაუსახლეს და მერე გადამსახლებლებს დითირამბებს უძღვნიდა, ეგ მას აპატია მკითხველმა ორი მიზეზის გამო – პირველი: დიდი პოეტი იყო და მეორე და მთავარი: ანტიადამიანური რეჟიმი იყო და მასთან გასამკლავებლად ინდივიდი, უბრალოდ, უძლური იყო. შეუძლებელს გალაკტიონისგანაც არ ითხოვენ.

აი, დღეს, როცა ბელადზე ლექსის არდაწერის გამო არც ცოლს გადაგისახლებენ, არც ფსიქიატრიულში გამოგამწყვდევენ და შენ მაინც ადგები, გახარიაზე ლექსს დაწერ, თან გიორგი ბრწყინვალეს შეადარებ ადამიანს, რომელმაც კარიერა იმით დაიწყო, რომ მისმა თანამშრომლებმა შენი ხელფეხშეკრული კოლეგა საპატიმროში აწამეს, მერე ამ შენგან ხოტბამისხმულმა კაცმა 19-20 წლის გოგო-ბიჭებს თვალები დასთხარა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. საფოსტო გზავნილება; 3. პოპულარული პარკი თბილისში; 4. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 6. ავტოდრომი საქართველოში; 8. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 17. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. მათემატიკაში, ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ანბანის ასო.

თარაზულად: 1. ტკბილი, წითელი ფერის ნაყოფის მქონე მრავალწლოვანი მცენარე; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 9. დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლოს მდებარე მთვარის ორბიტის წერტილი; 10. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 14. ქვიშის, მადნის გადასაზიდი, თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგი, ეპიდემიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 20. აფრიკის სახელმწიფო ბეჩუანალენდის დღევანდელი სახელწოდება; 21. ჰოლანდიური ლუდი; 22. მთა თბილისში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა